კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით მჭედლიშვილი

# ინვესტიციების როლი რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი თეა კასრაძე

თბილისი 2018

# ანოტაცია

გლობალურ და რეგიონალურ ბაზრებზე ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხი ძალზედ აქტუალური თემაა თუმცა შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტუნარიანობის ცალსახა განმარტება არ არსებობს.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ინვესტიციების მეშვეობით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კვლევას. მასში განხილულია საინვესტიციო გარემო საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე ინვესტიციების როლი და მათი რეგულაცია რეგიონულ და გლობალურ ბაზრებზე. ნაშრომში ასევე დეტალურად არის საუბარი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე და მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე,

ნაშრომი მოიცავს შესავალს, ტექსტის ძირითად ნაწილს, რომელიც თავის მხრივ შედგება სამი თავისაგან და დასკვნას.

პირველ თავში საუბარია კონკურენტუნარიანობის არსზე და მის განმსაზღვრელ ფაქტორებზე.

მეორე ნაწილში განვიხილავთ ინვესტიციების განმსაზღვრელ ფაქტორებს, შევეხებით ტრანსნაციონალიზაციას, როგორც ინვესტიციების წყაროს, ვისაუბრებთ თუ რა სახის ფაქტორები ახდენენ გავლენას პოტენციურ მომხმარებლებზე და დავადგენთ, თუ რა პოლიტიკებია საჭირო ინვესტიციების მოზიდვისათვის.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს საინვეტიციო გარემო, ზოგადად ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება და ვნახავთ თუ რა სიტუაციაა საქართველოში World Economic Forum-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომში გაანალიზებული საკითხები.

# Annotation

Davit Mtchedlishvili

## Role of investments in the regional and global markets in the country's competitiveness

Nowadays the competitiveness of the county is the most active them, but can be said that there is not its prime definition. During talks of the competitiveness of the county scientists emphasize different aspects and use different method of assessment. The index of global competitiveness is recognized as one of the most admitted measurement of competitiveness. It defines competitiveness of the country as combination of institutions, politics and factors, which formulates the productivity level. The growth of productivity will cause the increase of economic, living standard and wellness.

The investment plays the most important role in productivity. There are a lot of works dedicated to this them.

The world's economic forum founds its analysis on Global competitiveness index, which completed multinational competitiveness with micro and macro economic indicator. The experts of economic forum think that competitiveness is the combination of institutions, politics and factors, which measures the productivity level of county.

In this work, is determined investment environment in Georgia and outside of it, Also investment role and its regulations on regional and global market. As well, there is talk about Global competitiveness index.

The work includes main part of the text, and consists of three chapter and conclusion.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

**შესავალი** 5

**თავი 1** კონკურენტუნარიანობის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები 7

1.1 კონკურენტუნარიანობის არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები 7

1.2 გლობალური კონკურენტუნარიანობა 11

1.3 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 16

1.4 კონკურენტუნარიანობის 12 კომპონენტი 21

**თავი 2** ინვესტიციები და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა

2.1 ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები 29

2.2 ტრანსნაციონალიზაცია როგორც ინვესტიციების წყარო 31

2.3 ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს პოტენციურ ინვესტორებზე და ინვესტიციათა მოსაზიდად გამოყენებული პოლიტიკა 41

**თავი 3.** საქართველოს საინვეტიციო გარემო, გლობალური კონკურენტ-უნარიანობის ინდექსი და საერთაშორისო რეიტინგი

3.1 საინვესტიციო გარემო საქართველოში 48

3.2 შედარებითი ანალიზი, საქართველო და ბალტიისპირეთის ქვეყნები, ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ფონზე 54

დასკვნა 61

გამოყენებული ლიტერატურა 64

დანართი 1 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი-საქართველო 65

დანართი 2 გრაფიკული შედარება საქართველო-ბალტიისპირეთს ქვეყნები 71

# შესავალი

**თემის აქტუალურობა.** დღეს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხი ძალზედ აქტუალური თემაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მისი ცალსახა განმარტება არ არსებობს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე საუბრისას სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა ასპექტებზე აკეთებს აქცენტს და შეფასების სხვადასხვა მეთოდებს იყენებს. მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობა, ცდილობს, რომ ადგილი დაიკავოს კონკურენტულ გარემოში, რომელშიც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება. შესაბამისა აღნიშნული საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ ქვეყნის განვითარება ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ის.

სხვა მრავალ ფაქტორს შორის, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ მწარმოებლურობაზე, მნიშვნელოვანი როლო აკისრია ინვესტიციებს. ინვესტიციების მეშვეობით გლობალურ და რეგიონალურ ბაზრებზე ქვეყნის კონკურენტუნა-რიანობის ამაღლების საკითხს ეძღვნება წარმოდგენილი ნაშრომი.

**ნაშრომის მიზანი.** მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ვაჩვენოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად კონკურენტუნარიანობის ზრდა, რადგან იგი ხელს უწყობს, როგორც ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებას, ისე მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ნაშრომში ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის ჭრილში შეფასებულია ქვეყნის კონკურენტუნარიანობა. აგრეთვე განხილულია ის პრობლემატური საკითხები, რომელებიც აფერხებენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

**კვლევის საგანი.** კვლევის ობიექტად განსაზღვრულია კონკურენტუნარიანობა, როგორც მსოფლიო დონის ინდიკატორი და განსაზღვრავს ქვეყნის დონეს მსოფლიო ბაზარზე. ამასთანავე აღნიშნული კონტექსტით მიმოვიხილე ინვესტიციები, რომლებიც

კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ინვესტიციების როლი კი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში რეგიონალურ და გლობალურ დონეზე მთავარი საკვლევი ობიექტია.

კვლევის საგნად კი მიჩნეული მაქვს ინვესტიციების როლი საქართველოში და ის ქვეყნები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობდა. ინვესტიციები კი ამ ქვეყნების ეკონომიკაზე ახდენს, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნები განეკუთვნებიან განვითარებად ქვეყნებს, მაინც რიგი ფაქტორებია საკვლევი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნის განვითარებაში.

**კვლევის მეთოდი.** კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, შეგროვებულია სტატისტიკური მონაცემები და ასევ ჩატარდა ინტერვიუები, რომელიც საჭიროა კომპეტენტური აზრის გასაგებად, რათა უფრო მეტად გაღრმავებულიყო საუბარი კვლევის საგანზე.

აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით, განსახილველი თემის ძირითადი ამოცანებია:

- კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრა და მისი განსმაზღვრელი ფაქტორების დადგენა
- ზოგადად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დახასიათება
- დავადგინოთ თუ რა ფაქტორებია განმსაზღვრელი ინვესტიციებისათვის და როგორ როლს თამაშობს ის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში.
- განვიხილავთ საინვეტიციო გარემოს როლს რეგიონალურ და გლობალურ დონეზე
- გავაანალიზებთ საქრთველოს პოტენციალს საერთაშორისო ბაზარზე

**საინფორმაციო რესურსები.** მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია სხვადასხვა წყაროდან. გამოვიყენეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ცნობარები და გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა მასალები და ცნობარები.

# თავი 1. კონკურენტუნარიანობის არსი და კომპონენტი

## 1.1. კონკურენტუნარიანობის არსი და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

კონკურენტიანობა, როგორც ცნება, მისი ერთი განმარტება არ არსებობს. აღნიშნული საკითხი ყოველთვის აქტუალურია, რადგან ის წარმოადგენს სტაბილური და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საფუძველს, რაც საწინდარია იმისა, რომ ქვეყანა განვითარდეს სოციალურ-ეკონომიკური გზით. ქვეყნის მიერ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა ეკონომიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ამის მიღწევა კი, გლობალიზაციის მჭიდროდ ინტეგრირებადი მსოფლიოს პირობებში, საკმაოდ რთულია. გამომდინარე აქედან, კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცნება საკმაოდ აქტუალურია.

კონკურენტუნარიანობა - დინამიურად განვითარებადი, კომპლექსური და მრავალმხრივი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მრავალ წყაროში - სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში - განიმარტება არაერთგვაროვნად. საერთო ტენდენციები ცნებასთან დაკავშირებით შემდეგია: ტერმინი „კონკურენტუნარიანობა“ ხშირად გამოიყენება - წარმოებულ პროდუქციასთან მიმართებით, ფირმის დონეზე, ეკონომიკური სისტემის მიმართ, ანუ ის განიხილება - საქონლისა და წარმოების (მიკრო), დარგებისა და მათი გაერთიანებების (მეზო), რეგიონებისა და ქვეყნის (მაკრო) დონეზე და რეგიონალური გაერთიანებების (ჰიპერმაკრო) დონეზე; ის ზოგჯერ განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) ან/და საწარმოების კონკურენტუნარიანობისა ან

მწარმოებლურობის საშუალებით; აქცენტი კეთდება მისი დროში ცვლილებაზე; ამ ცნების არსიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ყველა შემთხვევაში საუბარია ეკონომიკური საქმიანობის მონაწილის შესაძლებლობაზე კონკურენცია გაუწიოს თავის მეტოქეს ბაზარზე; თუ უფრო სხვაგვარად ვიტყვით, ის ხშირად განიხილება, როგორც ეკონომიკის სუბიექტების, ან/და მათი გაერთიანებების, ან/და მთლიანად ეკონომიკური სისტემის, ან/და რეგიონული გაერთიანებების მცდელობა (შესაძლებლობა) მიაღწიოს წარმატებას მეტოქეებთან კონკურენტულ ბრძოლაში; კონკურენტუნარიანობის შედეგს, როგორც წესი, წარმოადგენს ცხოვრების ხარისხი, სოციალური კეთილდღეობის დონე და მთლიანობაში ქვეყნის კეთილდღეობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონკურენტუნარიანობის ცნებას ვიხილავთ კონკრეტულად მაკროდონეზე, მთლიანად ეროვნული ეკონომიკის (ქვეყნის) დონეზე, მიდგომები აქაც ცალსახა არაა. მას განსხვავებულად განიხილავენ მეცნიერ-ეკონომისტები, მასთან დაკავშირებული რეიტინ- გების ავტორები, სხავადსხვა საერთაშორისო ორგანიზაციები (WEF, IMD, OECD და სხვ.). მაგალითად, მ. პორტერი აღნიშნავს, რომ: „არ არსებობს კონკურენტუნარიანობის ტერმინის საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრა ქვეყანასთან მიმართებით და თუ ცნება „კომპანიის კონკურენტუნარიანობა“ სავსებით ნათელია, ამას ვერ ვიტყვით ცნებაზე „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა““; კრუგმანი კი, საერთოდ კითხვის ნიშანს სვამს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ტერმინის გამო- ყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით; თვით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიდგომაც კი არ იყო ყოველთვის ერთგვაროვანი - ის ახდენდა ცნების „ტრანსფორმირებას“ (დროთა განმავლობაში ის იხვეწებოდა). ასე მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) გვაძლევს ამგვარ განმარტებებს - ქვეყნის კონკურენტუნარიანობა: ეს მისი შესაძლებლობაა მიაღწიოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ -ის მდგრად, მაღალ ტემპებს (1996); ეს ქვეყნის ფაქტორების, პოლიტიკისა და ინსტიტუციების ანაკრებია, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყანაში მწარმოებლურობის დონეს (2006); ბოლოდროინდელი განმარტება კი ასეთია: „ნაციონალური კონკურენტუნარიანობა ეს ქვეყნისა და მისი ინსტიტუციების

შესაძლებლობაა უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპები საშუალოვადიან პერსპექტივაში“; მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (IMD) ქვეყნის კონკურენ-ტუნარიანობაში მოიაზრებს ეროვნული ეკონომიკის შესაძლებლობას შექმნას და მხარი დაუჭიროს გარემოს, რომელშიც წარმოიქმნება კონკურენტუნარიანი ბიზნესი; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საერთო განმარტება კონურენტუნარიანობის ასეთია: კონკურენტუნარიანობა - ეს კომპანიის, დარგის, რეგიონის, ნაციის შესაძლებლობაა შექმნას შემოსავლებისა და შრომის ანაზღაურების შედარებით მაღალი დონე და, ამასთან, დარჩეს გახსნილი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის. მიკრო და მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობისგან განსხვავებით, ეროვნული - ქვეყნის დონეზე (მაკროდონეზე) - კონკურენტუნარიანობა არ არის მხოლოდ ცალკე რომელიმე ეკონომიკური სუბიექტისა (სუბიექტების) თუ ინსტიტუციების კონკურენტული შესაძლებლობა (ან კონკურენტუნარიანობა), არამედ მოიცავს მათ. ანუ ის კომპლექსური ცნებაა, რომელიც აერთიანებს რიგ მდგენელებს, რომელიც ახასიათებს ეროვნული ეკონომიკას. უფრო კონკრეტულად, ჩვენი აზრით, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეს არის ერთობლიობაში მიკრო, მეზო და მაკროსუბიექტების - ცალკეული ფირმების, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ინტეგრირებული საწარმოების, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების (კლასტერების), დარგებისა და მათი გაერთიანებების, სხვადასხვა ბაზრებისა და საბაზრო (ეკონომიკური) ინსტიტუციების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების - საქმიანობის შედეგი, რომლებიც საბოლოოდ აისახება საზოგადოების კეთილ-დღეობაზე [ზ.ბეშკენაძე, 2017].

კონკურენტუნარიანობის ანალიზს მსოფლიოში ძირითადად ორი უმსხვილესი ორგანიზაცია ატარებს და ესენი არიან: მართვის საერთაშორისო ინტიტუტი (IMD) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). თითოეული ეს ორგანიზაცია ყოველ-წლიურად გამოსცემს ანგარიშს (შესაბამისად World Competitiveness Yearbook და Global Competitiveness Reports), რომელიც ეძღვნება კონკურენტუნარიანობის მსოფლიო

ტენდენციებს. ორივე ანგარიშში მთლიანობაში გამოიყენება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების მსგავსი მეთოდოლოგიები, რომლებიც ეყრდნობიან ფაქტორების ფართო სპექტრს და განსაზღვრავენ ქვეყნის წარმატებასა და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

IMD ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ანალიზს აწარმოებს 329 კრიტერიუმისა და მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც საბოლოოდ ჯამდება კონკურენტუნარიანობის ოთხ საბაზისო ფაქტორად. ისინი თავისთავად დაყოფილია 5 ქვეფაქტორად. ეს ფაქტორები და ქვეფაქტორებია: ეკონომიკური მდგომარეობა (მაკროეკონომიკური გარემო), რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეფაქტორებს - საშინაო ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება და ფასები; სახელმწიფოს ეფექტურობა, მოიცავს - სახელმწიფო ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, ინსტიტუციური სტრუქტურა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური სტრუქტურა; ბიზნესის ეფექტურობა, მოიცავს - მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტის პრაქტიკა, ურთიერთობები და ფასეულობები; ინფრასტრუქტურა, მოიცავს - საბაზისო ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემო და განათლება.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, რომელიც აისახება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, WEF იყენებს მსგავს, თუმცა უფრო რთულ მეთოდოლოგიას. კონკურენტუნარიანობის ანალიზი დაიყვანება ბენჩმარკინგზე. ის წარმოადგენს მაკრო და მიკროეკონომიკური ანალიზის სინთეზს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის განხილვამდე განსახილველია, თუ რას ეყრდნობა განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნების ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობა. მაგალითად: განვითარებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რომელიც მიიღწევა სხვადასხვა ფაქტორებით; ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალსა და ტექნოლოგიებში. სიახლეების დანერგვისთვისა და კომპანიის

ტექნოლოგიური განვითარებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო; საერთაშორისო ვაჭრობისთვის ღია სისტემა ეროვნული ინტერესების დაცვის პირობებში. ჩამორჩენილი ქვეყნების უპირატესობაში რესურსების მხრივ იგულისხმება ბუნებრივი რესურსების შეძენასა და ფლობასთან. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წყარო საკმაოდ ზუსტად ახასიათებს მის ეკონომიკურ განვითარებას, რამდენადაც ისტორიულად თავდაპირველად ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარ წყაროს წარმოადგენდა: ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა; ბუნებრივი რესურსები; წარმოების ძირითადი ფაქტორების მიწოდება და მასზე ფასები; მაღალი ფაქტორული მწარმოებლურობა და ცხოვრების ხარისხი; უახლესი ტექნოლოგიები, ეკონომიკური გარემო, ტექნოლოგიური ლიდერობა და გლობალური კონკურენტული სტრატეგია.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი კი წარმოადგენს ქვეყანათაშორის შედარების ინსტრუმენტს, რომელიც ეყრდნობა შეფარდებით ანალიზსა და სხვადასხვა ინდიკატორებს და გამოითვლება აგრეგირებული ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა რიგ ინდიკატორებს. ქვეყანათაშორისი კონკურენტუნარიანობის კომპლექსური ფაქტორებიდან თითოეულს ენიჭება გარკვეული წონა, შემდეგ მუშავდება რაოდენობრივი და გამოკითხვითი მაჩვენებლების სისტემა. სპეციალური მეთოდიკის დახმარებით ქვეყნების რანჟირება ხდება სპეციალური ბალების საშუალებით. ქვეყნების რეიტინგში უფრო მაღალი რეიტინგი მოწმობს არა მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების უფრო მაღალ დონეზე, არამედ ეკონომიკური სისტემის მოქნილობაზე, რომელსაც აქვს მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებების მიმართ სწრაფი ადაპტაციის უნარი. უფრო კონკრეტულად - ის ფორმირდება 114 მაჩვენებლისაგან (კომპონენტისაგან), რომელთაგანაც 34 გამოითვლება საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემებისაგან, ხოლო დანარჩენი - კომპანიების

ხელმძღვანელების გამოკითხვისაგან. ამ 114 მონაცემის საფუძველზე განისაზღვრება კონკურენტუნარიანობის 12 ფაქტორი (ინდიკატორი) - ე.წ „პილარი“.[1]

## 1.2 გლობალური კონკურენტუნარიანობა

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირებისთვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს აქტიური სამეწარმეო, საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე ორიენტირებული პოლიტიკა, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების განვითარების მიმართულებით (საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში დახმარებები და ა.შ.). ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი, მათ შორის ისეთი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორიცაა: სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი.

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი თავის ანალიზს აფუძნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე (*Global Competitiveness Index, GCI*), რომელმაც ეროვნული კონკურენტუნარიანობა მოიცვა მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლებით. ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობის საზღვრები, თავის მხრივ, ადგენენ კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უფრო კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონეს თავისი მოქალაქეებისათვის. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში

[1] https://www.scribd.com/doc/20368865/The-12-Pillars-of-Competitiveness

განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული უკუგების კოეფიციენტი გახლავთ ეკონომიკური ზრდის ტემპების ფუნდამენტური მაჩვენებელი. უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არის ის, რომელიც საშუალოდ უფრო სწრაფად იზრდება გრძელვადიან პერიოდში.

კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, მაშასადამე, მოიცავს სტატისტიკურ და დინამიურ კომპონენტებს, თუმცა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მკაფიოდ განისაზღვრება შემოსავლების დონის მდგრადობის შესაძლებლობით და მასში ასევე იგულისხმება ერთ-ერთი ცენტრალური ინდიკატორიც - ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის პოტენციალის დადგენისას (ახსნისათვის).

გლობალურ ბაზრებზე ინვესტიციების კონკურენტუნარიანობის კარგი შედარებაა აშშ-სა და ევროპის ბაზრები. ფაქტია, რომ აშშ-ს ბაზარი გადავსებულია განვითარებადი ქვეყნების კომპანიების იაფასიანი და ნაკლებად ხარისხიანი პროდუქციით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამერიკული პატენტით ან ლიცენზიითაა წარმოებული. აღნიშნული პროდუქცია დევნის ამერიკის ბაზრიდან ადგილობრივ ნაწარმს, შედეგად აუარესებს აშშ-ს საგარეო ვაჭრობის სალდოს, ხოლო მომწოდებელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო პრეფიციტული ხდება. ყოველივე ამის შედეგად აშშ-ს ეკონომიკას სჭირდება უფრო და უფრო მეტი ინვესტიციები, რათა ისინი მიმართული იქნას ინოვაციური კვლევებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, რომელთა პატენტები და ლიცენზიები გაიყიდება უცხო კომპანიებზე, ისინი აწარმოებენ იაფ და ნაკლებად ხარისხიან პროდუქციას, რომლებიც თავის მხრივ, გააგრძელებენ ამერიკის ბაზრებიდან ადგილობრივი პროდუქციის განდევნას და ა.შ. ამრიგად, წრე მეორდება. აი ზოგადად ის მექანიზმი, რომელშიც თავმოყრილია პრობლემების ის მოკლე ჩამონათვალი, რომელიც ასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს გლობალურ კონკურენტუნარიანობის რეიტინგში.

განსხვავებული ტრადიცია ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნებში. თანამედროვე ევროპაში მატერიალური კეთილდღეობა ანუ კორპორაციული მოგება აღარ

წარმოადგენს წარმატების იმ ერთადერთ საზომს, რაც წინათ იყო და რაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია აშშ-ში. აქ უფრო მნიშვნელოვანია წარმატების სოციალური შემადგენელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებები, პრესტიჟულობა და ა.შ. ევროპაში მეტად აფასებენ პროდუქციის ხარისხს და მის ინდივიდუალურობას. აქ მეტად არიან ორიენტირებულნი გამოყენებული რესურსების შემცირებაზე, ნელ-ნელა უარს ამბობენ მასობრივ წარმოებაზე. შედეგად ფასები ევროპულ პროდუქციაზე საკმაოდ მაღალია, ევროპული კომპანიები დღეს ლიდერები არიან მსოფლიოს ძვირად ღირებული პროდუქტების ბაზარზე. ისეთი ბრენდების ფლობა როგორიცაა Rolls-Royce, Ferrari, Cartier, Christian Dior, Chanel და სხვა, წარმატების, პრესტიჟისა და მდგრადობის ნიშანია. ამგვარი საქონლის შეძენისას მყიდველი მზადაა სიმბოლურად მაღალი და ხშირ შემთხვევაში, არარეალური ფასი გადაიხადოს. ასეთ ვითარებაში კონკურენტული უპირატესობების მოპოვება ფასის ელემენტის გამოყენებით ყოველივე აზრსაა მოკლებული.

ამერიკის შეერთებული შტატები მასობრივი წარმოების უპირატესობების ეფექტური გამოყენების მეშვეობით და ტექნოლოგიური პროგრესის მაქსიმალური ხელისშეწყობით, ჯერ-ჯერობით აღწევს თავის დომინირებას რამოდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგში. ყოველივე საკმაოდ დიდი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საჭიროებს, რაც საკმაოდ მძიმედ აისახება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებლებზე. ევროპელები კი პირიქით. მათ ორიენტირი არა მასობრივ წარმოების განვითარებაზე, არამედ მის შეცვლაზე აიღეს. მრავალმილიარდიანი ინვესტიციები უპირატესად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და არა მათ შექმნაზე მიდის. შედეგად მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები უკეთ გამოიყურება.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების კონტროლს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს საერთაშორისო

ბაზრების მოთხოვნის შესაბამისი საქონელი და მომსახურება და ამავე დროს სტაბილურად გაზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი გრძელვადიან პერიოდში. თანამედროვე ეკონომიკაში, ინოვაციები კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რადგან ინოვაციებს მივყავართ პროდუქტის თვითღირებულებისა და ფასების შემცირებასთან, ახალი მოთხოვნების გაჩენასთან, ვალუტის მოზიდვასთან, ახალი პროდუქტის მწარმოებლის იმიჯის ამაღლებასთან, ახალი, მათ შორის შიდა და რეგიონული ბაზრებზე შეღწევასა და დაპყრობასთან, შემოსავლების ზრდასთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინოვაცია უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია რისკთან. ინოვაციების მიღება და განხორციელება დაკავშირებულია სტერეოტიპების აღქმის სიმყიფესთან. ცნობილია, რომ ქვეყნის სიმდიდრეს და კონკურენტუნარიანობას მსოფლიოო ბაზარზე ქმნის ინოვაციებზე დაფუძვნებული ეროვნული წარმოება და ბიზნესი. ინოვაციური სისტემა ცალსახად შეესატყვისება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საწარმოო ძალების გაზრდას, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ის ფუნქციონირებს. ქვეყნებს შორის გლობალური კონკურენტუნარიანობის საკითხზე მუშაობს შვეიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიოო ეკონომიკური ფორუმი (WEF). აღნიშნული ორგანიზაცია 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს გარემო. აღნიშნული ანგარიში მთავრობებს ეკონომიკური ზრდის ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენაში, ხოლო ბიზნეს სექტორს მომავალი ინვესტირების გადაწყვეტილების მიღებისას ეხმარება. საერთაშორისო ბიზნესში ბიზნესმენები თავიანთი ნებისმიერი საქმიანობის პროცესში ეკონომიკურად განუსაზღვრელობის გამო მეტ-ნაკლები ზომით ყოველთვის გარკვეულ რისკთან არიან დაკავშირებული. ბიზნესმენმა უნდა იცოდეს, რომ მოვლენების განვითარება ეკონომიკასა და ბუნებისმეტყველებაში ორი ფორმისკანონოზომიერებას ექვემდებარება. ესენია: 1) დინამიური და 2) სტატისტიკური კანონმზომიერებანი. ეს კანონზომიერებანი მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის ფორმების მიხედვითაა

განსხვავებული. დინამიკური კანონზომიერებანი, მაგალითად, თან ახლავს მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის ფუნქციონალურ ფორმას, რომლის პირობებში ერთი მოვლენის ან ფაქტორის ან კიდევ ფაქტორთა ჯგუფის ცვალებადობა დროსა და სივრცეში იწვევს მეორე მოვლენის ცვალებადობას ყოველთვის, ყველგან და ყველა პირობებში. ამიტომ, ასეთ ურთიერთკავშირებს ბუნებასა და საზოგადოებაში სხვაგვარად სრულ კავშირებს უწოდებენ. ერთი მოვლენის ცვალებადობა იწვევს მეორე მოვლენის ცვალებადობას არა ყოველთვის, ყველგან და ყველა პირობებში, არამედ საშუალოდ, მხოლოდ უმრავლეს შემთხვევაში. მაგალითად, ბიზნესმენი, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს სოფლის მეურნეობაში, არაა გარანტარებული, რომ ყოველთვის ყოველ წელს ან ყველა დარგში, ან ყველა სახის მიწის ნაკვეთზე, მიიღებს სათანადო მოგებას, ანუ ამ შემთხვევაში ინვესტიციების გადიდება არ გამოიწვევს ყველგან და ყველა შემთხვევაში მოგების გადიდებას, ან კიდევ ავიღოთ ბიზნესმენების მიერ ნავთობის ბიზნესში ინვესტირების პროცესი. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში მაინც წარმოჩინდება კანონზომიერება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ინვესტიციების გადიდებას საშუალოდ (და არა ცალკეულ ყველა შემთხვევაში) თან მოჰყვება მოგების გადიდება, რასაც ეწოდება სწორედ სტატისტიკური კანონზომიერება. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისას დიდ ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც საბაზრო მექანიზმზე დაყრდნობით ზემოქმედებენ ეკონომიკაზე ოპტიმალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ხელშემწყობი ფაქტორია უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის გახსნილობის და მიმზიდველობის უზრუნველყოფა. ფინანსური გახსნილობის პარალელურად, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირება და ამავდროულად, ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირება. ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი დამოკიდებულია ინვესტირებული თანხების სიდიდეებზე, აუცილებელია, რომ ქვეყანამ უზრუნველყოს შესაბამისი დოზით ინვესტიციების ხელშეწყობა. უცხოური ინვესტიციები ხელს უსწყობს ახალი ცოდნის და

ტექნოლოგიების შემოდინებას, რაც ექსპორტის ზრდის და დივერსიფიცირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა.

გლობალიზაციის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ინვესტიციების მოცულობის ზრდა, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებაში, ასევე ძირითადი კაპიტალის, სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.[2]

## 1.3. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა

ქვეყნის კონკურეტუნარიანობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განსაზღვრავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ეროვნულ უსაფრთხოებასაც კი. შესაბამისად, ყოველი მთავრობა უნდა ცდილობდეს მინიმუმ კონკურენტუნარიანობის მიღწეული დონის შენარჩუნებას და ამასთანავე იმ რეზერვების ამოქმედებას, რომლებიც აღნიშნული დონის ამაღლებას შეუწყობენ ხელს. გლობალური განვითარების თანამედროვე ტენდენციები აშკარად მიანიშნებენ, რომ მხოლოდ მუდმივი, გეგმაზომიერი და ქმედითი ღონისძიებები თუ უზრუნველყოფენ ქვეყნის მდგრად და მზარდ განვითარებას. მსგავსი განვითარება განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებისთვის, რომლებსაც რეგიონალური და მსოფლიო მასშტაბით საკუთარი ნიშის მოძიება-დამკვიდრება, უკეთეს შემთხვევაში კი არსებული პოზიციების გამყარება-გაფართოება აქვთ მიზნად დასახული. გლობალიზაციის პროცესი დიდი ზომის ქვეყნებს უკეთეს სასტარტო პირობებს სთავაზობს. მათ გარკვეული სახის უპირატესობები (რესურსების, ბაზრის მოცულობა, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივი წევრობა, პოლიტიკური თუ სამხედრო გავლენა და მსგავსი) უმეტეს შემთხვევაში საერთაშორისო ასპარეზზე მთავარ „მოთამაშეებად“ აქცევთ და

[2] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASHfdfa9fd570df09c458b7b5.1.1&gt=1

დანარჩენ ქვეყნებს აიძულებენ მათ „წესებს“ დაემორჩილონ. სწორედ ამიტომ მცირე ზომის ქვეყნებს მეტი ძალისხმევის გაწევა სჭირდებათ, რათა მათი ინტერესი რეგიონალურ თუ საერთაშორისო მასშტაბით ანგარიშგასაწევი გახდეს წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას საქართველოს მაგალითზე განხილული და შესწავლილი იყოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და ამაღლების საკითხები სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების მეშვეობით, ამასთან გამოვლინდეს ის თავისებურებები, რომლებიც ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მექანიზმის სრულყოფას შეუწყობენ ხელს. 2 მსოფლიო და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო მეტად იზრდება კონკურენტუნარიანობის შესწავლის ინტერესი. სხვადასხვა კვლევის შედეგებში ყურადღება გამახვილებულია კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: ეროვნული იდეოლოგია, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება კონკურენტუნარიანობის შესწავლის საქმეში, ინვესტიციების მიმზიდველობა და ა.შ. სწორედ ასეთ მიდგომას შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს ის მრავალფეროვნება, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო გვთავაზობს. მცირე ზომის ქვეყნებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ ამ მიმართულებით. თუ ისინი შეძლებენ ტრადიციული და თანამედროვე (მოდერნისტული) საქმიანობების (შეხედულებების) ორგანულ ერთიანობას, მაშინ მათი ეროვნული ინტერესი შედარებით უმტკივნეულოდ იქნება გაზიარებული პარტნიორების მიერ. კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბოლო ათწლეულში უპირატესად ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას დაუკავშირდა. შესაბამისად, თუ ქვეყანამ ვერ გამონახა ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები, სამომავლოდ მრავალი სირთულე იჩენს თავს. აღსანიშნავია, რომ კონკურენტ-უნარიანობის დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზება არც თუ ისე მარტივია, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის პირობებში. ისეთი მაკრეოკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და საწარმოო ფაქტორების ეფექტიან გამოყენებას,

უმეტესად დამოკიდებულია ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასა და მისი აღსრულების მექნიზმზე კონკურენტუნარიანობის კვლევის დროს სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატი.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესწავლის პროცესში რაოდენობრივის გარდა შეიძლება ძირითად ფაქტორად თვისობრივი, არამატერიალური ფაქტორებიც განიხილებოდეს, კერძოდ, სოციალური ფაქტორები, კორუფციის დონე და სხვ. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის დასადგენად კონკურენტუნარიანობის ინდექსს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ითვლის. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშებია, სადაც ყოველწლიურად გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსს (GCI) აქვეყნებენ 12 ფაქტორის გათვალისწინებით (ინსტიტუციები, როგორც კერძო, ასევე საჯარო; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური გარემო; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება; საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა; ფინანსური ბაზრის განვითარების დონე; ტექნოლოგიური მზაობა; ბაზრის სიდიდე; ბიზნესის განვითარების დონე; ინოვაციები). მაკროეკონომიკური გარემოს შესწავლისას გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ითვალისწინებს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, მთლიანი ეროვნული დანაზოგი, ინფლაცია, სახელმწიფო ვალი და ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი.

საინტერესო და გასათვალისწინებელია უცხოური გამოცდილება. ევროკავშირის ქვეყნებში, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე, სახელმწიფო შესყიდვები დახურული იყო სხვა სახელმწიფოებისთვის, თუმცა ევროინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად, წევრ სახელმწიფოებს თანამშრომლობის მეტი შანსი მიეცათ. მიუხედავად ამისა, იმპორტის წილი ევროკავშირის სახელმწიფო ტენდერებში 7%-ს არ აჭარბებს. რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე იმპორტის წილი საწარმოო სექტორში (იმპორტის წილი კერძო სექტორში) ასე ნაწილდება: რუმინეთი 18% (19%), ირლანდია 9,4% (27%), გერმანია 6,5% (17%),

ევროკავშირი 7,5% (19%), ჩინეთი 6,1% (10,2%), იაპონია 4,7% (7,1%), აშშ 4,6% (7,5%) .ეკონომიკურად მაღალგანვითარებად ქვეყნებში საკმაოდ დაბალია საჯარო სექტორში იმპორტის წილი, რაც განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას უდაოდ გასათვალისწინებელი ფაქტია.

მნიშვნელოვანია გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) კვლევებისა და გამოცდილების გაზიარება სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში. იგი სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სახელმწიფო შესყიდვებს, რადგან ამ გზით შესაძლებელია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, რაც თავის მხრიც გაზრდის დასაქმებას, შეამცირებს სოციალურ დაძაბულობას და ა.შ. საქართველოს „კანონით შესყიდვების შესახებ“[3] არ გულისხმობს უპირატესობებს ადგილობრივი მეწარმეებისათვის. გარდამავალი პერიოდი, რომელიც გონივრული ვადით განისაზღვრება, ადგილობრივ წარმოებას პოზიციებს გაუმყარებს, შემდეგ კი კონკურენცია წინსვლისა და განახლების საშუალებას მისცემს. გასათვალისწინებელია საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების მართვის კუთხით. კერძოდ, ადგილობრივი მეწარმეებისა და/ან ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა. მაგალითად, საკმაოდ ცნობილია ისეთი რეგულაციები, როგორებიცაა: „The buy American act“ და „Buy American provisions“. „The buy American act“ აშშ-ში მოქმედებს 1933 წლიდან და საფასო უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ მეწარმეებს სახელმწიფო 6 შესყიდვების პროცესში, როგორც ნედლეულზე, ასევე იმ ფირმების სამრეწველო პროდუქციაზე, რომელთა 50% ადგილობრივი წარმოშობისაა და მწარმოებელიც ამერიკული ფირმაა. „Buy American provisions“ კი არეგულირებს შესყიდვებს სატრანსპორტო სფეროში იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვები აღემატება 100 ათას $-ს. მსგავსი პოლიტიკაა აეროპორტებთან მიმართებაში (“Airport and Airways Facilities Improvement Act”). იგი უპირატესობას ანიჭებს 60%-იან ადგილობრივი წარმოების სამრეწველო პროდუქციას, რომელიც საბოლოოდ აწყობილია აშშ-ს ტერიტორიაზე.

[3] საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. (2005).

საერთაშორისო პრაქტიკა რიგ შემთხვევებში მართალია საშუალებას აძლევს უცხოურ ფირმებს მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ სახელმწიფო შესყიდვებზე გამოცხადებულ ტენდერებში, მაგრამ უპირატესობას ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლებს (და/ან ამ წარმოებული პროდუქციისთვის საჭირო ნედლეული ადგილობრივი წარმოშობისაა) ანიჭებს. პრაქტიკაშია ასევე „შემხვედრი ვაჭრობის ხელშეკრულებები“, როცა სახელმწიფო შესყიდვებზე უფლების ნაცვლად უცხოურ ფირმებს ავალდებულებს სხვადასხვა სახის სარგებლის (ტექნოლოგია, მენეჯერული მომსახურება, ინვესტიცია, დაკრედიტება, წარმოების ლიცენზია თუ ერთობლივი წარმოება) ადგილობრივ მეწარმეებზე გადაცემას, რაც ფაქტიურად საერთაშორისო გამოცდილების, უახლესი ტექნოლოგიის, ცოდნის „იმპორტი“ იქნება და კაპიტალზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის. მაგალითად, თურქეთის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო სახელმწიფო შესყიდვებში 15%-მდე საფასო შეღავათს ადგილობრივ ფირმებს ანიჭებს. სხვადასხვა შეღავათებია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ისრაელში, იაპონიაში. სტიმულირების, შეღავათების მეთოდები წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დარგის გასავითარებლად. თურქეთი ასევე იყენებს „კომპენსირების ვალდებულებას“, რაც გულისხმობს ტენდერებში გამარ-ჯვებული უცხოური ფირმების მიერ ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემას ადგი-ლობრივ მეწარმეებზე, განსაკუთრებით სამხედრო შესყიდვების დროს.[4]

კონკურენტუნარიანობა, სახელმწიფო დონესთან ერთად, აუცილებელია კერძო სექტორშიც, მიუხედავად მრავალი ბარიერისა, კერძო სექტორის წარმომადგენლები ცდილობენ, შესაბამისი დროისა და ფინანსების ნაკლები ხარჯით მიაღწიონ მაქსიმუმს. აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გასამყარებლად.

[4] ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და სახელმწიფო შესყიდვები, როგორც კონკურენტუნარიანობის მართვის ინსტრუმენტი, http://competition25.ge/public/uploads/media/miqiashviliNino.pdf

კერძო სექტორი ხელის შემწყობია მრავალი სეგმენტისთვის. ეს შეიძლება იყოს ინოვაციებში, საგანმანათებლო სექტორში, ინვესტიციებსა და იმ დანარჩენ კომპონენტებში, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო ფორუმის მიერ.

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, სახელმწიფოს კონკურენტული შრომითი რესურსების წარმატებით ჩამოყალიბების მიზნით საჭიროა თანამშრომლობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს, ე.ი. კერძო სექტორს, მთავრობას და სამუშაო ძალას შორის. ბიზნესის პირობების ანალიზი საქართველოში გვთავაზობს, რომ ურთიერთკავშირი მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის რეგულირდება უნდობლობით და არა ერთობლივი ფასეულობებით. თითოეული მონაწილე ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს საკუთარი სარგებელი (მაგალითად, მთავრობა ცდილობს შემოსავლები გადასახადებით გაზარდოს, მომუშავეები ცდილობენ ხელფასების გაზრდას, კერძო ბიზნესი - მოკლევადიან მოგებას) მთელი სისტემის ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, თანამშრომლობის ხელშეწყობა მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის ერთობლივი ღირებულებების, მოქმედებებისა და პოლიტიკის შექმნაში, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე, არის კიდევ ერთი შესაძლებლობა შრომითი რესურსების განვითარებისთვის.[5]

## 1.4. კონკურენტუნარიანობის 12 კომპონენტი

ეკონომისტები დიდი ხნის განმავლობაში შეეცადნენ გაეგოთ, თუ რა განსაზღვრავს ერების სიმდიდრეს, ის გამოირჩევა შრომის სპეციალობითა და დისტრიბუციით, ფიზიკური კაპიტალისა და ინფრასტრუქტურის ინვესტიციებამდე. სულ ახლახანს

[5] საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება - გიორგი ბერულავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

განისზღვრა განათლება და მომზადება, ტექნოლოგიური განვითარება (ქვეყანაში შექმნილი ან მიღებული), მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალე და კარგად ფუნქციონირებადი ინსტიტუტები, ფირმის დახვეწა, მოთხოვნადი პირობები, ბაზრის ზომა და სხვა. ძირითადი მინიშნება არის ის, რომ ისინი არ არიან ურთიერთგამომრიცხავი, ორი ან მეტი მათგანი შეიძლება იყოს ნამდვილი იმავდროულად. ამან ასევე შეიძლება ნაწილობრივ ახსნას თუ რატომ, გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობების მიუხედავად ჩვენ ვერ ვხედავთ დიდი ძვრებს კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც უკვე თავის ადგილას დაალაგეს პროდუქტიულობის ბევრი ელემენტი.

**პირველი მახასიათებელი: ინსტიტუტები (საჯარო და კერძო)**. ის განისაზღვრება იურიდიული და ადმინისტრაციული სტრუქტურით, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები, ფირმები და მთავრობები ურთიერთქმედებენ შემოსავალისა და სიმდიდრის წარმოშობაზე. მყარი ინსტიტუციური გარემოს მნიშვნელობა კიდევ უფრო აშკარა გახდა დღევანდელ კრიზისში, რაც უფრო მეტ ქვეყანას ეკონომიკის სფეროში პირდაპირი როლის შესრულებისკენ მიჰყავს. ინსტიტუტების ხარისხს აქვს ძლიერი დამოკიდებულება კონკურენტუნარიანობასა და განვითარებაზე. ეს გავლენას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და წარმოების ორგანიზებაზე და გადამწყვეტ როლს თამაშობს საზოგადოებაში, რომელიც ატარებს განვითარების სტრატეგიებსა და პოლიტიკას.

ის სცილდება სამართლებრივ ჩარჩოებს. მთავრობა დამოკიდებულია ბაზრებსა და თავისუფლებებზე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რიგი ფაქტორები: გადაჭარბებული ბიუროკრატია, რეგულაციის, კორუფციის, საჯარო წესრიგის უპატივცემულობა, გამჭვირვალობისა და სანდოობის ნაკლებობა. საჯარო ფინანსების სწორად მართვა ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბიზნეს გარემოში ნდობის უზრუნველსაყოფად. ბიზნესები კარგად ემსახურებიან ეკონომიკას,სადაც მმართველებს აქვთ ძლიერი ეთიკური პრაქტიკა მთავრობის, სხვა ფირმებისა და საზოგადოების წინაშე. კერძო სექტორის გამჭვირვალობა აუცილებელია ბიზნესისთვის და მიღწეული იქნება სტანდარტების, აგრეთვე აუდიტისა და

საბუღალტრო პრაქტიკის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად ხელმისაწვდომობას

**მეორე მახასიათებელი: ინფრასტრუქტურა.** კონკურენტუნარიანობის სავალდებულო წინამძღოლად შეიძლება ჩაითვალოს ფართო და ეფექტიანი ინფრასტრუქტურა. ეს არის გასაღები ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ეს განსაზღვრავს ეკონომიკურ საქმიანობასა და საქმიანობების ან სექტორების სახეობას, რომლებიც შეიძლება განვითარდეს კონკრეტულ ეკონომიკაში. კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ამცირებს რეგიონს შორის მანძილის ეფექტს, რის შედეგადაც ეროვნულ ბაზარზე შესაბამისი ინფრასტრუქტურა ინტეგრირდება და სხვა ქვეყნებისა და რეგიონების ბაზრებზე დაბალ ფასად ბალანსდება. ინფრასტრუქტურული ქსელების ხარისხი და ექსტენსიურობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და ამცირებს შემოსავლის უთანასწორობას და სიღარიბეს. ამ თვალსაზრისით, კარგად განვითარებული სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურული ქსელი ნაკლებად განვითარებული თემების წინაპირობაა ძირითადი ეკონომიკური აქტივობებით და ძირითადი სერვისებით. საქონლის, ხალხისა და მომსახურების სატრანსპორტო საშუალებების ეფექტიანი მეთოდები (როგორიცაა ხარისხიანი გზები, სარკინიგზო გზები, პორტები და საჰაერო ტრანსპორტი) საშუალებას მისცემს მეწარმეებს უზრუნველყონ თავიანთი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე უსაფრთხოდ და დროულად გადასატანად და ხელი შეუწყონ მუშების მუშაობას საუკეთესო სამუშაო ადგილებზე. საბოლოოდ, მყარი და ფართო სატელეკომუნიკაციო ქსელი საშუალებას იძლევა სწრაფი და თავისუფალი ნაკადის ინფორმაციას, რომელიც ზრდის საერთო ეკონომიკურ ეფექტურობას, რათა უზრუნველყოს ბიზნესის კომუნიკაცია.

**მესამე მახასიათებელი: მაკროეკონომიკური გარემო.** მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა მნიშვნელოვანია ქვეყნის საერთო კომპეტენციისთვის. მაკროეკონომიკური სტაბილურობა მარტო ვერ შეამცირებს ერის პროდუქტიულობას, მაგრამ ეკონომიკა ვერ გაიზრდება მდგრადი ფორმით, თუ მაკრო გარემო სტაბილურია. მთავრობას არ შეუძლია

მომსახურების ეფექტიანად უზრუნველყოფა თუ უწევს წარსულში არსებული დავალიანების გადახდა. ფისკალური დეფიციტი არღვევს მთავრობის სამომავლო შესაძლებლობებს ბიზნეს ციკლის რეაგირებაზე. ფირმები ვერ ახერხებენ ეფექტიანად მუშაობას, როდესაც ინფლაციის დონე უკონტროლოა.

**მეოთხე მახასიათებელი: ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება.** ჯანსაღი სამუშაო ძალას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და პროდუქტიულობაში. ცუდ ჯანმრთელობას ბიზნესი მიჰყავს მნიშვნელოვანი ხარჯების გაზრდაზე, რადგან ავადმყოფები ხშირად არ იყენებენ ან მუშაობენ ეფექტურობის ქვედა დონეზე. ამგვარად, ჯანდაცვის მომსახურების გაწევის ინვესტირება მნიშვნელოვანია სუფთა ეკონომიკისთვის. მოსახლეობისთვის მინიჭებულია საბაზისო განათლების რაოდენობა და ხარისხი: საბაზისო განათლება იზრდება თითოეული ინდივიდუალური მუშაკის ეფექტურობაზე. უფრო მეტიც, მცირე ფორმალური განათლების მქონე მუშებს შეუძლიათ მხოლოდ მარტივი სამუშაო შეასრულონ და გაცილებით უფრო რთულია ადაპტირება უფრო მაღალწარმოებულ პროცესებსა და ტექნიკასთან. ამიტომ, საბაზისო განათლების არარსებობა შეიძლება გახდეს ბიზნესის განვითარების შეზღუდვის წინაპირობა. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს იქნება მნიშვნელოვანი, რათა თავიდან იქნას აცილებული შემცირებები რესურსების განაწილებაში ამ კრიტიკულ არეში.

**მეხუთე მახასიათბელი: უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება.** ეკონომიკისათვის მნიშნველოვანია უმაღლესი განათლებისა და პროფესიული მომზადების ხარისხი, რომელიც ამაღლებს ღირებულებას წარმოების პროცესებსა და პროდუქტებს შორის. კერძოდ, დღევანდელი გლობალიზაციის ეკონომიკა მოითხოვს ეკნომიკისგან, კარგად განათლებული მუშაკების გაერთიანებას, რომელთაც შეუძლიათ სწრაფად შეეწყონ სწრაფად ცვალებად გარემოს. ეს მახასიათბელი ზომავს საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებას ისევე, როგორც განათლების სფეროს შეფასებისას.პერსონალის გადამზადების მოცულობა ასევე ითვალისწინებს პროფესიული

და მუდმივი სწავლების მნიშვნელობას (ბევრ ეკონომიკაში უგულვებელყოფილია), რათა უზრუნველყოს მუშების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

**მეექვსე მახასიათბელი: საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა** ქვეყნები ეფექტური საქონლის ბაზრებზე არიან კარგად განთავსებულნი, რათა გამოუშვან პროდუქციისა და მომსახურების სწორი ნაზავი მიწოდების და მოთხოვნის პირობების წარდგენით, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს საქონელი მაქსიმალურად ეფექტური იყოს საბაზრო ეკონომიკაში. ჯანსაღი ბაზრის კონკურენცია, როგორც შიდა, ასევე უცხოური, მნიშვნელოვანია ბაზარის მართვის ეფექტურობაში და ამდენად ყველაზე ეფექტური ფირმები, რომლებიც ბაზარზე მოთხოვნილ საქონელს წარმოადგენენ, არიან ისინი, ვინც წარმატებას მიაღწიეს. საქონლის გაცვლასთან დაკავშირებული მაქსიმალურ გარემოსათვის საჭიროა მინიმუმი დაბრკოლებები ბიზნეს საქმიანობაში მთავრობის ჩარევით. მაგალითად, კონკურენტუნარიანობა ხელს უშლის უკიდურესი გადასახადებით და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული წესებით. ეკონომიკურმა შემცირებამ, ბაზარზე ფასების ზრდამ, უმუშევრობის მომატებამ მთავრობებზე ზეწოლა გაზარდა ადგილობრივი ფირმებისა და სამუშაო ადგილების დაცვის მიზნით. კულტურული მიზეზების გამო, მომხმარებელი ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება უფრო მოითხოვდეს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამან შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი კონკურენტუნარიანი უპირატესობა, რადგან იგი აიძულებს კომპანიებს იყვნენ უფრო ინოვაციურები და მომხმარებელზე ორიენტირებულები და ამ გზით აკისრებს დისციპლინას ბაზარზე მიღწეული ეფექტურობისთვის.

**მეშვიდე მახასიათბელი: შრომის ბაზრის ეფექტიანობა.** შრომის ბაზრის ეფექტურობა და მოქნილობა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუშები გამოყოფილია ეკონომიკის ყველაზე ეფექტურ გამოყენებაში და მათი შრომისადმი საუკეთესო ძალის უზრუნველსაყოფად. შრომის ბაზრებს უნდა ჰქონდეთ მოქნილობა, რომ მოხდეს მუშაკთა გადაადგილება ერთი ეკონომიური საქმიანობიდან მეორეში სწრაფად და დაბალ ფასად და ხელფასის მერყეობაში შესწორების შეტანა სოციალური შეფერხების გარეშე. დაბალმა

ღირებულებამ და ეფექტურმა შრომის ბაზარმა ასევე უნდა უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა მუშათა წახალისებასა და მათ ძალისხმევაში, რომელიც მოიცავს სამართლიანობას ბიზნეს გარემოში ქალებსა და მამაკაცებს შორის.

**მერვე მახასიათბელი: ფინანსური ბაზრის განვითარებულობა.** ეფექტური ფინანსური სექტორი გამოყოფს ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადანაწილებულ რესურსებს, ასევე იმ ეკონომიკას, რომელიც შემოდის უცხოეთიდან მათი ყველაზე პროდუქტიული მიზნებისათვის. ეს აკავშირებს რესურსებს იმ სამეწარმეო ან საინვესტიციო პროექტებთან, რომელთა დაბრუნებაც მოსალოდნელია. ბიზნეს ინვესტიციები კრიტიკულია პროდუქტიულობისადმი. ამიტომ ეკონომიკა მოითხოვს დახვეწილ ფინანსურ ბაზრებს, რომლებსაც შეუძლიათ კერძო სექტორის ინვესტიციებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ ისეთი წყაროები, როგორიცაა საბანკო სექტორის კარგად რეგულირებული ფასიანი ქაღალდების გაცვლა, საწარმოს კაპიტალი და სხვა ფინანსური პროდუქტები. საბანკო სექტორი საჭიროებს ღირსეულ სანდოობასა და გამჭვირვალეობას. ფინანსურ ბაზრებზე საჭიროა შესაბამისი რეგულაცია, რათა დაიცვან ინვესტორები და სხვა მოთამაშეები ეკონომიკაში.

**მეცხრე მახასიათბელი: ტექნოლოგიური განვითარების დონე.**ეს მახასითებელი ზომავს იმ სისწრაფეს, რომლითაც ეკონომიკას აწარმოებს არსებული ტექნოლოგიები, გააუმჯობესოს რა თავისი მრეწველობის პროდუქტიულობა, ის სულ უფრო მეტად გახდება ფირმების კონკურენციისა და წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ელემენტი. საერთაშორისო კომპიუტერიული ტექნოლოგიების (ICT) ხელმისაწვდომოობა (მათ შორის საერთაშორისო კომპიუტერილი ტექნოლოგიების (ICT) მეგობრული მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობის ჩათვლით) და გამოყენება ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია ტექნოლოგიური მზადყოფნის ყველა დონეზე. ქვეყანაში მოქმედ ფირმებს ხელი მიუწვდებოდათ მოწინავე პროდუქტებსა და ლურჯ ბეჭდურ საშუალებებზე და მათი გამოყენების შესაძლებლობაზე. სამეცნიერო ტექნოლოგიების ძირითად წყაროებს შორის დიდ როლს თამაშობს პირდაპირი უცხოური

ინვესტიციები (FDI). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2008 წელს დაახლოებით 15% -ით გაიზარდა, 2009 წელს მოსალოდნელი გაუარესების ზრდით, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. ქვეყანაში ფირმებისთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის დონე უნდა გამოირჩეოდეს ქვეყნის უნარ-ჩვევების ინოვაციებისა და ცოდნის გაფართოებისგან. ამიტომაც, ჩვენ გამოვყოფთ ტექნოლოგიურ მზადყოფნას ინოვაციურობისაგან.

**მეათე მახასიათბელი: ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები**ბაზრის ზომა გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე, რადგან მსხვილი ბაზრები ფირმებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ეკონომიკა, განპირობებული წარმოების მასშტაბების გაზრდით. საერთაშორისო ბაზრები ადგილობრივ ბაზრების შემცვლელი გახდა, განსაკუთრებით მცირე ქვეყნებისთვის. არსებობს დიდი ემპირიული მტკიცებულებები, რომ ვაჭრობის ღიაობა დადებითად არის დაკავშირებული ზრდასთან. ვაჭრობას აქვს დადებითი ეფექტი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც აქვთ მცირე შიდა ბაზრები. ამდენად, ექსპორტი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ქვეყნის ფირმის ბაზრის ზომის განსაზღვრის შიდა მოთხოვნის შემცვლელი.

**მეთერთმეტე მახასიათბელი: ბიზნესის კონკურენტუნარიანობა.** ბიზნესის კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს პროდუქციისა და მომსახურების წარმოების მაღალ ეფექტს, ზრდის პროდუქტიულობას და ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა ეხება ქვეყნის საერთო ბიზნეს ქსელების ხარისხს, ისევე როგორც ინდივიდუალური ფირმების საქმიანობასა და სტრატეგიას. მნიშვნელოვანია ქვეყნის ბიზნეს ქსელების ხარისხი და დამხმარე საწარმოები. როდესაც კონკრეტული სექტორის კომპანიები და მომწოდებლები ერთმანეთთან დაკავშირებულია გეოგრაფიულად მიახლოებულ ჯგუფებთან, ეფექტურობა ამაღლებულია, ინოვაციისთვის უფრო დიდი შესაძლებლობები იქმნება და ახალი ფირმების შესვლის ბარიერები მცირდება. ინდივიდუალური ფირმების ოპერაციები და სტრატეგიები (ბრენდინგი, მარკეტინგი, ღირებულების ჯაჭვის არსებობა და უნიკალური

და დახვეწილი პროდუქტების წარმოება) მიუძღვის კონკურენტუნარიან და თანამედროვე ბიზნეს პროცესებს.

**მეთორმეტე მახასიათბელი: ინოვაციები.** გრძელვადიან პერსპექტივაში, ცხოვრების დონე შეიძლება მხოლოდ ინოვაციით გაფართოვდეს. ინოვაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, რადგან ისინი მიესადაგება ცოდნის საზღვრებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად მოწინავე ქვეყნებს შეუძლიათ გააუმჯობესონ თავიანთი პროდუქტიულობა არსებული ტექნოლოგიების დანერგვით ან სხვა სფეროებში მიღწეული გაუმჯობესების გზით, მათთვის, ვინც მიაღწია განვითარების ინოვაციურ ორიენტიებს, ეს აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ გაიზარდოს პროდუქტიულობა. ამ ქვეყნებში ფირმებმა უნდა შექმნან და განავითარონ უახლესი პროდუქტები და პროცესები, რათა შეინარჩუნონ კონკურენტული ზღვარი. ეს მოითხოვს იმ გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ საქმიანობას, რომელიც მხარს უჭერს როგორც საზოგადოებას, ასევე კერძო სექტორებს. კერძოდ, ეს ნიშნავს საკმარის ინვესტირებას კვლევასა და განვითარებაში (R&D), განსაკუთრებით კერძო სექტორისთვის. მაღალხარისხიანი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების არსებობა, უნივერსიტეტებისა და მრეწველობის კვლევის ფართო თანამშრომლობა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა - ეს გვიჩვენებს კვლევისა განვითარების მნიშვნელობას.

**თორმეტივე მახასიათებლის თანაფარდობა.** მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტუნარიანობის 12 მახასიათებელი ცალ-ცალკეა აღწერილი, ამან არ უნდა ჩაახშოს ის ფაქტი, რომ ისინი არ არიან დამოუკიდებლები: არა მხოლოდ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, არამედ ისინი მიისწრაფვიან ერთმანეთის გასაძლიერებლად. მაგალითად, ინოვაციები ( მე-12 მახასიათებელი) შესაძლებელია მსოფლიოში ინერგებოდეს სხვადასხვა მიღწევების დასანერგად მაგრამ ის ვერ შეასრულებს (I მახასიათებელი), ინტელექტუალური საკუთრების უფლების გარანტიას. ცუდად განათლებული და ცუდად მომზადებული შრომით ძალის მქონე ქვეყნებში (მე -5 სვეტი) და ის უფრო მეტად რთულია ეკონოკიაში არაეფექტური ბაზრებით (მე -6, მე -7 და

მე -8 მახასიათებლები) ან (მე -6, მე -7 და მე -8 სვეტები) ან ფართო და ეფექტიანი ინფრასტრუქტურის გარეშე (II მახასიათებელი). მიუხედავად იმისა, რომ ინდექსის ფაქტობრივი მშენებლობა მოიცავს 12 მახასიათებლის აგრეგაციას ერთ ინდექსად, საზომი 12 მახასიათებელს აღწერს ცალ-ცალკე, ვინაიდან ქვეყნებისა და პრაქტიკოსებისთვის სასარგებლო იქნება უფრო მეტი დეგრადაციის ანალიზი: ისეთი ანალიტიკური მიდგომები, რომელთა გადაჭრაც საჭიროა კონკრეტულ ქვეყანასთან გასაუმჯობესებლად. (დანართი 1)

# თავი 2 . ინვესტიციები და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა

## 2.1. ინვესტიციების ნაკადების განმსაზღვრელი ფაქტორები

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი თორმეტივე ფაქტორის დონის/მაჩვენებლის ამაღლებასა და გაუმჯობესებაში განსაკუთრებული როლი აქვს ინვესტირებას შესაბამის სფეროებსა და დარგებში. ინვესტიციები ერთის მხრივ ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მისი განმსაზღვრელი ფაქტორების გაუმჯობესების გზით, მეორეს მხრივ კი გაზრდილი კონკურენტუნარიანობა ზრდის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს, რადგან ინვესტორები გადაწყვეტილების მიღების დროს სწორედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებით ინტერესდებიან. ინვესტიციებსა და კონკურენტუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს.

უცხოელი ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს ერთ–ერთი მთავარი დეტერმინანტია ქვეყნის ზოგადი პოლიტიკა. ინვესტორი ყურადღებას აქცევს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, არასტაბილურობა ან

პოლიტიკური კონფლიქტები აფერხებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს, ვინაიდან არასტაბილური გარემო ინვესტორების მიერ აღიქმება საშიშროებად, რომელიც საფრთხეს უქმნის მოცემულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას.

მეორე კომპონენტი, რომელმაც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი როლი ითამაშოს ტნკ-ების გადაწყვეტილებაში, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის ღიაობა, თუ რამდენად მიმართავს ქვეყანა პრეფერენციულ პოლიტიკას ინვესტიციების ნაკადების სამართავად. მაგალითად, თავისუფალი პოლიტიკა ხელს უწყობს ინვესტიციების შემოდინებას.

მესამე კომპონენტი კი არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადზე დადებითი ეფექტი, საერთაშორისო შეთანხმებები, როგორიცაა WTO, NAFTA, GATS და ა.შ. ასეთ შეთანხმებებში მონაწილეობით ქვეყნები იღებენ სხვადასხვა დადებით ეფექტს ვაჭრობის კუთხით; კერძოდ, მცირდება დაბეგვრის და ტრანსპორტირების ხარჯი და შესაბამისად იზრდება ინვესტიციების ნაკადები. ეს დეტერმინანტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი ბაზრის ძებნაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის.

როდესაც ინვესტიცია მიმართულია რესურსებზე, ინვესტორისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების კვალიფიკაცია, რადგან უფრო მისაღები და საინტერესოა ნედლეულსა და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ერთი-ერთი თვალსაჩინო მაგალითი კი საუდის არაბეთია, რომელიც ინვესტორთათვის ხელმისაწვდომია მისი ნავთობის გამო.

სხვა მხრივ, ინვესტორთათვის შესაძლოა საინტერესო იყოს იაფი მუშახელი, რაც ერთ-ერთ ფაქტორია დანახარჯების შემცირებისა და ისინი ხშირად ამით მასშტაბის ეკონომიურობასაც აღწევენ. ამის კარგი მაგალითია ინდოეთი და ჩინეთი, რომლებიც ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს შორის გამოირჩევიან იაფი მუშახელით და სწორედ ამით იზიდავენ ისინი ინვესტორებს. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მსოფლიოს უდიდეს კომპანიებს ხშირად თავიანთი საწარმოები ჩინეთშიც კი გადააქვთ.

ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის კი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის ბაზრის ზომა, განვითარების ტემპები და ქვეყნის რეგიონული ინტეგრაცია.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციისთვის მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის საზოგადოების განვითარების დონე და იმ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხარისხი. რაც უფრო მაღალია ქვეყნის მოსახლეობის განვითარების დონე, მით ნაკლები დანახარჯების გაწევა უწევს ტრანსნაციონალურ კომპანიას ტექნოლოგიური შესაძლებლსობების მაღალი დონის მისაღწევად, დაბალ განვითარებული ქვეყნებისთვის კი მათ უნდა გაწიონ დიდი ხარჯები შესაბამისი შედეგის მისაღწევად, შესაბამისად მათთვის ამ კუთხით ნაკლებ საინტერესოა ამ ქვეყანათა პოტენციალი. აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ გახადოს მიმზიდველი ინვესტორისთვის იმით, რომ საზოგადოებაში მაღალი იყოს ქვეყნის განვითარების დონე.

3. ბიზნესის გამარტივება

ამ კომპონენტში არის სამი დეტერმინანტი, რომელიც არსებით როლს თამაშობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ერთ-ერთი მთავარია, რადგან ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს და ამცირებს ტრანსნაციონალური კომპანიების დახარჯულ დროს. ინვესტორებისთვის ხშირად რთულია შეეწყონ სხვადასხვა სახის საკანონმდებლო რეგულაციებს, შესაბამისად ეს დეტერმინანტი კარგია ეფექტიანობაზე ორიენირებული ინვესტორისათვის.

ცალკე უნდა გამოვყოთ ხელშეწყობის ე,წ Promotion ღონისძიებები. ამ მიზნით, მიზანშეწონილია ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოების დაარსება (Investment Promotion Agencies). ამის წარმატებული მაგალითებია: სინგაპურის ეკონომიკური განვითარების საბჭო (Economic Development Board) და ირლანდიის ინდუსტრიული განვითარების სააგენტო (Industrial Development Agency), რომლებიც დაარსდა ქვეყნის მთავრობების მიერ ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით. ასეთი სააგენტოების უპირატესობა არის ის, რომ იგი განსაზღვრავს ინვესტიციების კონკრეტულ ტიპს, რომელიც უფრო ხელსაყრელია მოცემული ეკონომიკური გარემოსათვის.

და ბოლოს, ინვესტიციების ნაკადზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკა. მიმზიდველი ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

## 2.2. ტრანსნაციონალიზაცია როგორც ინვესტიციების წყარო

ტრანსნაციონალიზაცია უდავოდ წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას. ეკონომიკურად იგი განპირობებულია კაპიტალის გადადინების შესაძლებლობითა და აუცილებლობით იმ ქვეყნებიდან, სადაც მისი შედარებით ჭარბი ოდენობაა, ქვეყნებში, სადაც მისი დეფიციტია, სამაგიეროდ ჭარბადაა წარმოების სხვა ფაქტორები (შრომა, მიწა, სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც არ შეიძლება იყოს გამოყენებული რაციონალურად კვლავწარმოებით პროცესებში კაპიტალის უკმარისობის გამო. ამგვარად, ობიექტურად ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ მსოფლიო კვლავწარმოებითი პროცესების ტრაციონალიზაციასთან და ეკონომიკური პირობების გათანაბრებასთან სხვადასხვა ქვეყანაში.

ტრანსნაციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის მოძრაობაა ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის, ამიტომ საკვანძო ტერმინი ამ პრობლემაში ინვესტიციებია. ზოგადად რომ ვთქვათ, ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და წარმოებებში. იგი იყოფა მოკლევადიან (კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე ვადით), საშუალო და გრძელვადიან (ერთ წელზე მეტი ვადით დაბანდება) ინვესტიციებად. [ა.ოქროცვარიძე, თ. ლაჭყეპიანი, ლ,ოქროცვარიძე, 2010]

დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს:

1) ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობების, მანქანების, შენობებისა და ინფრასტრუქტურის სახით;

2) ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერიალურ აქტივებში (სავაჭრო მარკა, პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.); 3) ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება); 4) ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაფინანსების ფორმით.

ინვესტიციები შეიძლება განახორციელონ როგორც ეროვნულმა ოპერატორებმა, რომელთაც შეიძლება ეწოდოს რეზიდენტები, ასევე უცხოელებმა (არარეზიდენტებმა). კერძოდ, თვით წარმოება ახდენს საამორტიზაციო გადარიცხვებს და დებს საკუთარ საშუალებებს განვითარებაში, ე.ი. ახორციელებს თვითინვესტიციებს.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში განანსხვავებენ ოფიციალურ (სახელმ-წიფო) და კერძო ინვესტიციებს. უცხოური ინვესტიციები შეიძლება იყოს პირდაპირი და პორტფელური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ერთი ქვეყნის საწარმოს საშუალებების დაბანდებაა სხვა ქვეყნის საწარმოში მასზე განსაზღვრული ხარისხის გრძელვადიანი გავლენის მოპოვების მიზნით. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაში ყოველთვის მონაწილეობს ქვეყანა დონორი, რომლის რეზიდენტი ახდენს ინვესტირებას და ქვეყანა-რეციპიენტი ანუ მიმღები ქვეყანა, რომლის წარმოებაში იდება საშუალებები. პირდაპირ უცხოური ინვესტიციის განმასხვავებელი თვისებაა უცხოური იურიდიული პირის მიერ საწარმოს მართვის ეფექტიანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა.

პირდაპირისგან განსხვავებით, პორტფელური ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ფასიან ქაღალდებში, რომელიც არ აძლევს ინვესტორს რეალურ საშუალებას გააკონტროლოს ინვესტირების ობიექტი. პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკლევადიანია, ხოლო პირდაპირი ყოველთვის გრძელვადიანი ინვესტიციებია. **უცხოური კაპიტალით შეიძლება საწარმოები შეიქმნას შემდეგი ფორმებით:**

- ფილიალი-საწარმო, რომელიც მთლიანად ეკუთვნის ინვესტორ-არარეზიდენტს;
- ქალიშვილი კომპანია, რომელშიც არარეზიდენტი ფლობს 50%-ზე მეტ კაპიტალს;
- ასოცირებული კომპანია, რომელშიც ინვესტორი ფლობს 10-დან 50%-მდე კაპიტალს.

საერთაშორისო კორპორაცია მსხვილი კომპანიის ორგანიზაციის ფორმაა, რომელიც ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. გამოყოფენ ორი სახის საერთაშორისო კორპორაციებს:

1. ტრანსეროვნული კორპორაცია - სათაო კომპანია ეკუთვნის ერთ ქვეყანას, ხოლო პირდაპირი ინვესტიციები ხორციელდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2. მრავალეროვნული კორპორაცია - სათაო კომპანია ეკუთვნის ორი ან მეტი ქვეყნის კაპიტალს, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აგრეთვე მთელ მსოფლიოში ხორციელდება.

თანამედროვე საერთაშორისო კორპორაციების დიდ უმეტესობას გააჩნია ტრანსეროვნული კორპორაციის ფორმა, ამიტომ ტრანსნაციონალიზაციას უკავშირებენ ძირითადად სწორედ ამ ფორმას.

ტრანსეროვნული კორპორაციები დღეს წარმოდგენილია დაახლოებით 60 ათასი ძირითადი (დედა) კომპანიით, მათი 500 ათასზე მეტი საზღვარგარეთული ფილიალით და დამოუკიდებელი კომპანიებით მთელ მსოფლიოში. ტრანსეროვნული კორპორაციები სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაზე და მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანობაში. ისინი აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს; საგარეო ვაჭრობის 63%-ს; აგრეთვე, ახალ ტექნიკაზე, ტექნოლოგიასა და ნოუ-ჰაუზე პატენტების და ლიცენზიების დაახლოებით 4/5-ს.

ტრანსეროვნული კორპორაციების ხელშია ხორბლის, ყავის, სიმინდის, ხე-ტყის მასალების, თამბაქოს, ჯუთის და რკინის მადანის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძის და ბოქსიტების ბაზრის - 85%, ჩაის და ყავის - 80%, 75% ბანანების, ნატურალური კაუჩუკის,

ნავთობის ნედლეულის ბაზრის. ამერიკული ექსპორტის ნახევარს ახორციელებენ ამერიკული და უცხოური ტრანსეროვნული კორპორაციები. დიდ ბრიტანეთში ეს წილი აღწევს 80%-ს, სინგაპურში - 90%-ს. გადასახადთა დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერთან, ხორციელდება ტრანსეროვნული კორპორაციების შიგნით.

ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დაახლოებით ნახევარი ხორციელდება შერწყმისა და შთანთქმის მეშვეობით, უპირატესად განვითარებული ქვეყნების ფირმებს შორის. საინტერესოა, რომ ა.შ.შ. ბოლო წლებში სულ პირველ ადგილზეა მოზიდული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის მიხედვით.

აზიური ქვეყნები „იპყრობენ" ყველა განვითარებად ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის დაახლოებით 2/3-ს. იმავდროულად აფრიკული ქვეყნების უმრავლესობა, მიუხედავად მათი მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა, თითქმის არ იზიდავს უცხოურ კაპიტალს.

არსებობს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია - რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით მეტად ახორციელებს არა მარტო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, არამედ იღებს კიდეც მათ. ეს ტენდენცია უშუალოდ გამოხატულია ისეთ მაჩვენებელში, როგორიცაა საზღვარგარეთ მოცემული ქვეყნის დაგროვილი პირდაპირი ინვესტიციების მთლიანი მოცულობის შეფარდება იმავე ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციებთან.

ტრანსეროვნული კორპორაციების განვითარება უშუალო გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. შეიძლება გამოვყოთ მსოფლიო ეკონომიკაზე ტრანსეროვნული კორპორაციების გავლენის რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ტრანსეროვნული კორპორაციები ბევრად განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზრის დინამიკასა და სტრუქტურას, კონკურენტუნარიანობის დონეს.

2. ტრანსეროვნული კორპორაციები აკონტროლებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ისინი ძირითადი ინვესტორები არიან განვითარებად ქვეყნებში და აქტიურად ახდენენ გავლენას მათ ეკონომიკურ განვითარებაზე, იმავდროულად გააჩნიათ გავლენის ფართო სფეროები განვითარებულ ქვეყნებში. ეს საშუალებას იძლევა ვისაუბროთ იმაზე, რომ თანამედროვე ტრანსეროვნულ კორპორაციებს უნარი შესწევთ გავლენა მოახდინონ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეზე.

3. ტრანსეროვნული კორპორაციები დიდ როლს თამაშობენ ტექნოლოგიების და ცოდნის გადაცემაში, ამავდროულად ისინი მათ კონცენტრირებას უკეთებენ საკუთარ სამეცნიერო ცენტრებშიც. ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოო და ფინანსური შესაძლებლობების წყალობით ისინი თავიანთ ხელში აქცევენ ყველაზე მეცნიერებატევად საწარმოებს. ტრანსეროვნული კორპორაციები ამუშავებენ უახლესი სახეობის პროდუქციას ყველაზე კარგი სამომხმარებლო თვისებებით, რითაც წარმოების ტექნოლოგიური განვითარების პროცესს უწყობენ ხელს.

4. ტრანსეროვნული კორპორაციები საერთაშორისო შრომითი მიგრაციის სტიმულატორები არიან. ისინი ხელს უწყობენ პროფესიული ცოდნის გავრცელებას, გამოცდილების გაცვლის პროცესს სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლებს შორის. ამით კი შრომის საერთაშორისო ბაზარი იქმნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვეყნიდან პერსონალის პროფესიული მომზადების კონვერგენციის პროცესები.

ამგვარად, ტრანსეროვნული კორპორაციები რამდენიმე საკვანძო პროცესის მამოძრავებელი ძალაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი დადებით გავლენას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაზე, აგრეთვე ხელს უწყობენ საწარმოო, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კავშირებს სხვადასხვა ქვეყნის და რეგიონის საწარმოებს შორის. ისინი თამაშობენ განმსაზღვრელ როლს საერთაშორისო კონკურენციის პროცეში, ამასთან, თანამშრომლობენ და მეტოქეობას უწევენ მცირე და საშუალო ბიზნესს.მსოფლიოში წამყვანი ადგილი უკავიათ კვლავ ა.შ.შ-ის ტრანსეროვნულ

კორპორაციებს. მისმა საზღვარგარეთულმა ფილიალებმა და ქალიშვილმა კომპანიებმა შეადგინეს ახალი მძლავრი სისტემა, რომელსაც ზოგჯერ ამერიკის მეორე ეკონომიკას უწოდებენ. მნიშვნელოვანი ტენდენცია ხდება ა.შ.შ-ში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ე.წ. ახალი ეკონომიკის სახით დამოუკიდებელი კომპლექსების გამოჩენა და გამოყოფა, რაც წარმოდგენილია საინფორმაციო კომპანიების მიერ და მიდის განვითარების ინოვაციური გზით. ახალი ეკონომიკის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აჭარბებს ტრადიციული ეკონომიკის ზრდის ტემპებს.

ტრანსნაციონალიზაციის ფენომენმა 60-იანი წლებიდან დაწყებული ეკონომიკის დაჟინებული ყურადღება მიიპყრო. დღეისათვის ტრანსნაციონალიზაციის თეორიამ განვლო განვითარების უკვე საკმაოდ გრძელი გზა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დასრულებული და ამ რთული მოვლენის ყველა ასპექტის ამხსნელი თეორია ჯერ კიდევ არაა. ჩვენ მოკლედ შევჩერდეთ ტრანსნაციონალიზაციის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებზე.

1. ტექნოლოგიური კონცეფცია წამოაყენა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტ-ინსტიტუციონალისტმა ჯ. გელბრეითმა. ის თვლის, რომ ტრანსეროვნული კორპორაციები ავითარებს თავის უცხოურ სტრუქტურებს ძირითადად საზღვარგარეთ თავისი რთული ტექნიკური პროდუქციის მომსახურებისა და გასაღების გასაფართოებლად, საგარანტიო მომსახურების ორგანიზაციის და პრომოუშენ-კომპანიების ხარჯზე.

2. მონოპოლისტური უპირატესობის თეორია წამოაყენა ს. ჰაიმერმა და განავითარა- ჩ. კინდლებერგერმა. თავად მონოპოლისტური კონკურენციის ცნება შემოიტანა და გამოიკვლია ე. ჩემბერლინმა. სასაქონლო ბაზრის მონოპოლიზაციის პირობებში კომპანია ცდილობს გამოიყენოს კონკურენციის განსაკუთრებული სახე, გამოყოფს რა თავის საკუთარ საქონელს განსაკუთრებულ ჯგუფად რეკლამის და სხვა ღონისძიებების გამოყენების გზით საქონლის ბაზარზე გასატანად. ეს საქონელი ხდება განსაკუთრებული და მასზე საბაზრო კონკურენციის საერთო კანონები არ ვრცელდება.

როცა კორპორაცია გამოდის უცხოურ ბაზარზე, იგი ბუნებრივია ეჯახება იქ უკვე მოქმედ ადგილობრივ კორპორაციებს, რომელთაც გააჩნიათ რიგი უპირატესობანი, ვინაიდან კარგათ იცნობენ საკუთარ ბაზარს, მომხმარებლის გემოვნებას და კავშირი აქვთ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. ამიტომ, ბაზრის რომელიმე სეგმენტის დაპყრობა, მონოპოლისტური მეთოდების გამოყენებას გულისხმობს

3. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც შემუშავებულია ფრანგი ეკონომისტის რ. ვერნონის მიერ, ემყარება ნებისმიერი საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის გავლის შესახებ პოსტულატს, რომელიც შედგება სამი თანმიმდევრული სტადიისაგან: ინოვაციის, სიმწიფის და სტანდარტიზაციის ფაზებისაგან.

4. დამწევი ციკლის თეორია და „მფრინავი ბატების" პარადიგმა. იაპონელი მეცნიერი კ. აკამაცუ იაპონიის მრეწველობის სხვადასხვა დარგების შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე მათი განვითარების სამფაზიანობის შესახებ. ყოველი დარგის პირველ ფაზაში იზრდება უცხოური საქონლის იმპორტი ქვეყანაში. მეორე ფაზაში იგი შესუსტებას იწყებს საკუთარი იმპორტშემცვლელი წარმოების წარმოებისა და განვითარების გამო, რომელიც განსაზღვრულ მომენტში უსწრებს იმპორტს მოცულობის მიხედვით. მესამე ფაზა უკავშირდება დარგის ექსპორტის განვითარებას სხვა ქვეყნებში. ამ სამი ფაზის შემდეგ ყალიბდება პირობები ადგილობრივი კორპორაციების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტრანსნაციონალიზაციისათვის. იმპორტის, იმპორტისშემცვლელი წარმოების და დარგის ექსპორტის მოცულობების გრაფიკები რომანტიკოს იაპონელს ველური ბატების გუნდების ჩამოყალიბებას ახსენებდა, ამიტომაც უწოდა კონცეფციას „მფრინავი ბატების" პარადიგმა.

5. ოლიგოპოლისტური დაცვის თეორია, რომელიც შემოგვთავაზა ფ. ნიკერბოკერმა (1978), ტრანსნაციონალიზაციის განვითარებას ხსნის აგრეთვე ლიდერებთან დევნით, მაგრამ უკვე ტრანსეროვნულ კორპორაციებს შორის. 187 ამერიკული კორპორაციის შესახებ ემპირიული მონაცემების საფუძველზე ოცი წლის მანძილზე მან აღმოაჩინა ის, რომ ოლიგოპოლისტურ დარგებში, სადაც ეროვნული ბაზრის დიდ ნაწილს

აკონტროლებს ოთხიდან შვიდი კორპორაცია, ერთ-ერთი კონკურენტული კომპანიის ტრანსეროვნული ნახტომიდან 3-7 წლის შემდეგ უცხოურ ბაზრებზე აუცილებლად მოდიან მისი საშინაო კონკურენტები. ამ თეორიაში ტრანსნაციონალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება კონკურენტული დევნა ლიდერ კომპანიაზე.

6. ჰეკშერ-ოლინის თეორია ასაბუთებს წარმოების ფაქტორების გადაადგილების ეფექტიანობას ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ თეორიის ძირითადი კანონი, რომელიც მისი ავტორების სახელს ატარებს, გვამცნობს, რომ ქვეყნებს, რომელთაც ესა თუ ის წარმოების ფაქტორები ჭარბად აქვთ, ექნებათ შედარებითი უპირატესობანი იმ საქონლის და მომსახურების ექსპორტში, რომელიც დაფუძნებულია წარმოების მოცემული ფაქტორების ინტენსიურ გამოყენებაზე.

7. ინტერნალიზაციის თეორია, რომელიც წარმოდგენილია ინგლისელი ეკონომისტების- რ. ბაკლის და დ. კასონის მიერ, დაფუძნებულია იმ პოსტულატებზე, რომ ტრანსეროვნული კორპორაციების ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მთლიანი ინტერნალური (შიდა) სტრუქტურა, რომლის დროსაც კორპორაციაში შემუშავებული ნოუ-ჰაუ მიუწვდომელია კონკურენტებისათვის.

8. ჯ. დანინგის (1981) ეკლექტიკური თეორია მიზნად ისახავს ცალკეული „საუკეთესო“ ელემენტების გაერთიანებას, რომლებიც აღებული იყო სხვადასხვა წინამორბედი თეორიებიდან ტრანსნაციონალიზაციის ყოველმხრივი ახსნისათვის.

9. ერის ინვესტიციური განვითარების გზების თეორია აგრეთვე იყო შემოთავაზებული ჯ. დანინგის მიერ ჰოლანდიელ მეცნიერ ნარულოისთან (1994) ერთად. ამ თეორიის თანახმად, განვითარებული ქვეყნები გადიან ხუთ ეტაპს, რომელთა კლასიფიკაციურ ნიშნებს წარმოადგენს მზადყოფნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღებისა და ექსპორტირებისათვის.

ტრანსეროვნული კაპიტალი ვერ გახდებოდა დამოუკიდებელი, მსოფლიო ეკონომიკის მოთამაშე მისი მოთხოვნების მიმართ საკუთარი ადექვატური

ტრანსეროვნული საბანკო სისტემის შექმნის გარეშე. ეროვნული სახელმწიფოს მეურვეობისგან განთავისუფლებულებმა და ფაქტობრივად მათი იურისდიქციიდან გამოსულმა ტრანსეროვნულმა კაპიტალმა ხანგრძლივი ეკონომიკური ევოლუციის პროცესში შექმნა ფინანსური ინსტიტუტები-ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ასრულებენ ყველა ძირითად ფინანსურ ფუნქციას, რაც აუცილებელია ტრანსეროვნული კორპორაციების მოძრაობის და საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ტრანსეროვნული ბანკების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თანდათანობით, მთლიანობაში ტრანსეროვნული კორპორაციების ევოლუციის კვალდაკვალ. საბანკო კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის ძირითადი მასტიმულირებელი მოტივებია: მისი კონცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ ბაზრებზე გაძლიერებულ კონკურენციასთან; ტრანსეროვნული კორპორაციების უზრუნველყოფის აუცილებლობა ფინანსური რესურსებით, ევროვალუტის და ასევე სხვა გლობალური, ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბება; გლობალური საინფორმაციო-ფინანსური ქსელების შექმნა, რომლებიც რევოლუციურად აიოლებდნენ და აიოლებენ კაპიტალის გადაადგილების პროცესებს.

დღესდღეობით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი რეგიონი, სადაც კონცენტრირებულია საერთაშორისო ბანკები - ა.შ.შ., დასავლეთ ევროპა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია. მძაფრი კონკურენტული ბრძოლის შედეგად საერთაშორისო ფინანსური ცენტრების როლი დაუმკვიდრდათ ისეთ ქალაქებს, როგორიცა ნიუ-იორკი, ლონდონი, ციურიხი, ტოკიო, ლუქსემბურგი, ჰონკონგი და სხვები. ფაქტობრივად დღეს არსებობს 13 ფინანსური ცენტრი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 1000 ფილიალისა და უცხოური ბანკების განყოფილებას. როგორც წესი, ისინი მიეკუთვნება მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს. ჩამოყალიბდა თავისებური საერთაშორისო ფინანსური მექანიზმი, რომელიც იყენებს რა სპეციალიზებულ ელექტრონულ ქსელს (swift, Global Costadien და სხვ.), მოქმედებს დღედაღამ და არეგულირებს მსოფლიო ფინანსური ნაკადების და მსოფლიო სავალუტო ბაზრების მოძრაობას.

ტრანსეროვნული ბანკები, რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბებულია მრეწველურად განვითარებული ქვეყნების უმსხვილესი კომერციული ბანკების ბაზაზე, ბატონობენ სასესხო კაპიტალების ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე. განსაკუთრებული მძაფრი კონკურენცია ბოლო წლებში გაიშალა ამერიკულ და ევროპულ ტრანსეროვნულ ბანკებს შორის. საბანკო სტრუქტურებს შორის დაიწყო შერწყმისა და შთანთქმის მძლავრი ტალღა.

დღესდღეობით ფართო გავრცელება ჰპოვეს ოფშორულმა ბანკებმა. მათ გარეშე არ სრულდება პრაქტიკულად არცერთი ტრანსეროვნული ბანკების ოპერაცია. პრინციპში, ოფშორული ბანკების ორგანიზაცია ხდება დაახლოებით იმავე მიზნებით, როგორც ოფშორული კომპანიები. მათგან მთავარი დაბეგვრის მინიმიზაციაა.

ოფშორულ ბანკს აქვს შემდეგი თავისებურებები:

1. მას უფლება არა აქვს იმუშაოს ბანკის რეგისტრაციის ქვეყნის რეზიდენტებთან.
2. რეგისტრაციისათვის გადახდილი საწესდებო კაპიტალის საჭირო სიდიდე ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.
3. ბანკს ეძლევა გადასახადებისაგან პრაქტიკულად სრული თავისუფლება.
4. რეზერვირებისა და სხვა საბანკო ნორმატივების მოთხოვნები ოფშორებში, როგორც წესი, ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო სავალუტო კონტროლი საზღვარგარეთულ ოპერაციებზე არ არსებობს.

ოფშორულმა ბანკებმა შექმნეს ტრანსეროვნული ბანკების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფენა. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში პრაქტიკულად ტრანსეროვნული კაპიტალის ვერც ერთი ფინანსური სქემა მათ გარეშე ვერ იმოქმედებს.

ამგვარად, ტრანსეროვნული ბანკები ტრანსეროვნული კორპორაციების ძირითადი პარტნიორებია. ჩვეულებრივ, ტრანსეროვნულ ბანკებს, როგორც მინიმუმი, ერთი ფილიალი აქვთ პლანეტის რომელიმე ფინანსურ ცენტრში და ერთი - ოფშორულ ზონებში. ისინი ფულს ატრიალებენ მსოფლიოს ფინანსური ბაზრებისა და ოფშორების

მეშვეობით, სადაც მთელი მოგება რჩება; აძლევენ კრედიტებს ტრანსეროვნულ კორპორაციებს ან ეროვნულ კორპორაციებს იმაზე მეტი პროცენტით, ვიდრე განახორციელეს ფინანსური რესურსების მობილიზაცია.

ტრანსეროვნული კორპორაციების ორგანიზაციულ-მმართველობითი ქსელები და საინფორმაციო-კომპიუტერული გლობალური ქსელები, რომლებიც პარალელურად ვითარდებოდა, აღმოჩნდნენ სტრუქტურით ერთმანეთის იზომორფულები და ეფუძნებიან ორგანიზაციის მსგავს პრინციპებს. გლობალურმა საინფორმაციო-ფინანსურმა ქსელმა ხელი შეუწყო ტრანსეროვნული კორპორაციების მართვის ანალოგიური ქსელების შექმნას და სხვადასხვა ქსელური ტრანსეროვნული კორპორაციების ორგანიზაციასაც.

ტრანსეროვნული კორპორაციების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შიდა კორპორაციული პოლიტიკა, კორპორაციის ფილოსოფია და საწარმოებში მიღებული შრომის ეთიკა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ საკითხებში ლიდერობდნენ იაპონური  ტრანსეროვნული კორპორაციები, რომელთაც შეძლეს გამოეყენებინათ საკუთარი ეროვნული ტრადიციები საწარმოებში კორპორაციული სულის შესაქმნელად, შრომის მწარმოებლურობის არსებითი ზრდისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. უკანასკნელ წლებში დასავლეთის ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოახერხეს დაწეოდნენ იაპონურ ტრანსეროვნულ კორპორაციებს, აიღეს მათი მენეჯმენტის სფეროდან რიგი მიღწევები და განახორციელეს ეროვნულ პირობებთან და ინსტიტუტებთან ადაპტაცია.

## 2.3 ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს პოტენციურ ინვესტორებზე და ინვესტიციათა მოსაზიდად გამოყენებული პოლიტიკა

პირველ ეტაპზე, სახელმწიფო, როდესაც ცდილობს, რომ ცნობადი გახდეს და ინვესტიციების მოსაძიებლად საჭირო წყაროები გაიჩინოს, ის ამისთვის ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია Promotion, რის

მიეშვეობითაც ქვეყანა მსოფლიოს აცნობს საკუთარ გარემოს. ეს შეიძლება მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და ხარჯებს, თუმცა ამის გარეშე მარკეტინგული რისკი და მარცხი ძალიან დიდი იქნება. ამის კარგი და ნათელი მაგალითია სინგაპურსა და ირლანდიაში დაარსებული სააგენტოები, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა პოტენციურ ინვესტორებს აწვიდან შესაბამის ინფორმაციას. თუმცა მხოლოდ სპეციფიკური ინდუსტრიული პოლიტიკა არ ახდენს გავლენას ინვესტიციების ნაკადზე. ქვეყნის მიმზიდველობა დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევის დროებით პოლიტიკაზე, არამედ ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მაკროეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა გამოვყოთ ორი ფაქტორი: პირველი არის ის, რომ საჭროა ქვეყანაში იარსებოს შესაბამისმა სამუშაო ძალამ, რაც პირველ რიგში კომპანიას საშუალებას მისცეს ადგილობრივ ბაზარზე მოიძიოს მუშახელი და მეორე ფაქტორი კი არის კვალიფიციური ძალა, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესოა ინვესტორისთვის, რომელსაც სურს ადგილობრივ ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ძალა მოიძიოს; ამიტომ საჭიროა, რომ სახელმწიფომ იზრუნოს მოსახლეობისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემა.

ზოგადი პოლიტიკის ჭრილში ფაქტორები, რომლებიც ინვესტორის გადაწყვეტილებებზე ახდენენ გავლენას, მაგრამ არ ექცევა ქვეყნის ზეგავლენის ქვეშ, არის ქვეყნის გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობა ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯს და აუმჯობესებს გარემოს საწარმოს ფუნქციონირებისათვის, რაც საბოლოოდ ზრდის ინვესტიციების ნაკადებს ქვეყნის შიგნით.

დღესდღეობით ცნობილია, თუ რა დადებითი ეფექტი აქვს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ამიტომაც არის, რომ განვითარებადი ქვეყნები არჩევენ სხვადასხვა გზებს იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანები გახდნენ და მოიზიდონ ინვესტორები. ერთ-ერთი კარგი მაგალითი ამის არის რეჟიმის ლიბერალიზაცია, რაც თავის თავში გულისხმობს შეზღუდვათა შემცირებას ან საერთოდ მოხსნას. მაგალითად, თუ ქვეყანას სურს რომ იყოს

მიმზიდველი ინვესტორისთვის, რაღაც დოზით მაინც უნდა შეამციროს შეზღუდვები ინვესტიციებზე. დღესდღეობით არსებული განვითარებული ქვეყნებიდან ბევრმა ვერ მოახერხა კონკურენციის გაწევა ამა თუ იმ ქვეყნისათვის, რადგან ხშირად ამის გამომწვევია ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ქვეყნების ინტერესების განსხვავებულობა. სხვაგვარად რომ ითქვას, ხშირად ქვეყნებს არ შეუძლიათ შესთავაზონ კომპანიებს ის, რაც მათ სურთ.

ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის წინაპირობაა ინვესტიციის განხორციელებისას თუ რამდენად არის რესურსები ხელმისაწვდომი და როგორია ქვეყნის შესაძლებლობები. მასში შემავალია იაფი სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსები, ამასთანავე სანტერესოა თუ როგორია ბაზარი, ანუ რამდენად დიდია ის და რამდენადაა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური დონე. ქვეყანამ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შეიმუშაოს ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რაც მეტად საინტერესოს გახდის ბაზარს ინვესტორისათვის.

განვითარებადმა ქვეყნებმაც სხვადასხვა შედეგი აჩვენეს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. იმისათვის, რომ სახელმწიფო სტრატეგია სწორად განხორციელდეს, საჭიროა დიდი ძალისხმევა; პირველ რიგში საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ხელსაყრელი ინფრასტრუქტურული გარემო ინვესტორთათვის, რაც დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან. ამასთანავე სახელმწიფო ვალდებულია ინვესტორთან არ განიცადოს ე.წ „ინფორმაციული მარცხი“, რაც ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ინვესტორისთვის ადგილობრივი ბაზარი ნაკლებად ცნობილი იყოს, ანუ მასზე ჰქონდეს ან ცოტა ინფორმაცია, ან არ ჰქონდეს გამოცდილება ამ ბაზარზე მუშაობისა.

ადგილობრივი სახელმწიფოს მიერ განსხვავებულია ასევე ინვესტორების საქმიანობაში ჩარევის დონეებიც, ისინი შეიძლება ოთხად დავყოთ. პირველ დონეს მიეკუთვნება პასიური ღია კარის პოლიტიკა - ამ დროს სახელმწიფოს არ აქვს რაიმე პოლიტიკური სახის ინტერესი ინვესტიციის მიმართ. მეორე დონეზე სახელმწიფოს კი აქვს ღია კარის პოლიტიკა და ამასთანავე ის ცდილობს ხელი შეუწყოს ინვესტიციების

შემოდინებას, თუნდაც მიწოდების პოლიტიკის გაუმჯობესებით. შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო მიმართავს კონკრეტული ინვესტიციების მოზიდვას და ტრანსნაციონალური კომპანიების მკაცრ კონტროლს. ბოლო ეტაპზე კი ქვეყნები იმ ინვესტორისადმი მიმართავენ შემზღუდავ პოლიტიკას, რომელთაც შესაძლოა ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ.

შემუშავებულია ცხრილი[6], რომელიც გავლენას ახდენს პირდაპირი უხოური ინვესტიციების ნაკადების ინტენსივობაზე.

**ცხრილი N1[7]**

| | ინდუსტრიული პოლიტიკა | მაკროეკონომიკური პოლიტიკა | სხვა პოლიტიკა |
|---|---|---|---|
| **ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს პოტენციურ ინვესტორებზე** | • ფინანსური და ფისკალური სტიმულები და ვაჭრობა<br>• ხელშეწყობის ღონისძიებები და მიზნობრივი ინვესტორების შერჩევა<br>• ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება | • ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური სამუშაო ძალა<br>• პრივატიზაციის შესაძლებლობები<br>• ფინანსური ბაზრების განვითარების დონე<br>• თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა | • ქვეყნის გლობალური და რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი.<br>• საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობა<br>• დიდ ბაზრებთან ახლომდებარეობა<br>• კორუფციის დაბალი დონე |
| **ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ ინვესტორებზე** | • საგადასახადო სისტემა<br>• დასაქმებულთა ტრენინგები<br>• კვლევისა და განვითარების წახალისება<br>• თანამშრომლობა | • სამუშაო ბაზრის მდგომარეობა<br>• ექსპორტის წახალისების ღონისძიებები | • საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობა და საერთაშორისო ინსტიტუტების წევრობა |

[6] წყარო: Te Velde, 2001

[7] წყარო Dirk Willem te Velde, Government Policies towards Inward Foreign Direct Investment in Developing Countries: Implications for human capital formation and income inequality, Overseas Development Institute 2001;

| | | | |
|---|---|---|---|
| | საერთაშორისო კორპორაციებთან | | |
| **ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი ინვესტორების ქმედებაზე** | • ადგილობრივ და უცხოურ საწარმოებს შორის ურთიერთობა<br>• სამუშაო ძალის ტრენინგი<br>• მიწოდების მენეჯმენტი | • განათლების დონე და პროფესიული უნარ–ჩვევები<br>• სამუშაო ძალის მობილობა<br>• ექსპორტის წახალისება | • გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია |

მოდელი განიხილავს სახელმწიფოს მიერ ჩარევის სამ საფეხურს (გავლენის მოხდენა პოტენციურ ინვესტორებზე, რეალურ ინვესტორებზე და ადგილობრივ ფირმებზე) და თითოეულ საფეხურზე განასხვავებენ ფაქტორების სამ ტიპს (სპეციფიკური ინდუსტრიული პოლიტიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა და სხვა ზოგადი პოლიტიკა), რომელთაც აქვთ გადამწყვეტი ეფექტი ტრანსნაციონალური კომპანიების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ ინვესტორებზe, პირველ ეტაპზე, სახელმწიფო ცდილობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამ დროს ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მათ შორისაა ე.წ Promotion ანუ ხელშეწყობის ღონისძიებები; მართალია, ის ძვირია და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამასთანავე საჭიროა როგორც დიდი ძალისხმევა, ასევე დანახარჯებიც; მაგრამ ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფო ცდილობს შეამციროს ინფორმაციული მარცხის შანსი. ამიტომაცაა, რომ სინგაპურსა და ირლანდიაში დაარსებული სააგენტოები სწორედ იმაზე მუშაობენ, რომ მოიზიდონ პონეტციური ინვესტორები და მიაწოდონ ინფორმაცია არსებული ბაზრის შესახებ ქვეყანაში.

ამ დეტერმინანტში გამოსაყოფია ფინანსური და ფისკალური პოლიტიკა. ქვეყანას არ ძალუძს შესთავაზოს ინვესტორს მუდმივად დაბალი საგადასახადო განაკვეთები, რადგან დაბალი განაკვეთი შესაბამისად გულისხმობს ნაკლები თანხების აკუმულირებას ბიუჯეტში. ეს ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყანამ შექმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა

და გარემო. ინვესტორი დიდ ყურადღებას ამახვილებს ფისკალურ პოლიტიკაზე, რომელიც ხელს უწყობს მის შესვლას ბაზარზე, ის თავის თავში გულისხმობს მთავრობის პოლიტიკას დანახარჯების, გადასახადებისა და სესხების შესახებ. ფისკალური პოლიტიკას უფრო პოლიტიზირებულია.

საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოსაზიდად ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება, რომელიც ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის ბაზარზე შემოსვლის დროს ერთ-ერთი დამაბრკოლებელია, რთული ადმინისტრაციული ბარიერები ხელს უშლის ტნკ-ებს, შევიდნენ ბაზარზე. პროცესების გამარტივება კი შეამცრიებს ინვესტორის დანახარჯებს როგორც დროის, ასევე ფინანსურს.

მხოლოდ სპეციფიკური ინდუსტრიული პოლიტიკა ვერ მოახდენს ინვესტიციების მოზიდვაზე გავლენას. ქვეყნის მიმზიდველობა არა მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევაზეა დამოკიდებული, არამედ ზოგად ეკონომიურ მდგომარეობაზე. მაკროეკონომიკური პოლიტიკიდან შეგვიძლია გამოვყოთ ორიმთავარი ფაქტორი. პირველი, ეს არის სამუშაო ძალა, რომელიც მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოსაზიდად. სამუშაო ძალის ნაკლებობა უფრო მეტ უარყოფით როლს თამაშობს ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, როდესაც უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტექნოლოგიური პროგრესი ტრანსნაციონალური კომპანიისთვის. ამ მხრივ ინვესტორები მეტ ყურადღებას აქცევენ ისეთ ქვეყნებს, სადაც უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალაა. ამიტომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა.

ფინანსური ბაზრის სიძლიერე მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან როდესაც სახელმწიფოში სუსტი ფინანსური ბაზარია, კომპანიებს შედარებით ძვირი უჯდებათ რესურსები და ნაკლებადაცაა ხემისაწვდომი. ინვესტიციების მოზიდვის სფეროში კი ნაკლებად განვითარებულ ფინანსურ ბაზარს უფრო მეტი უარყოფითი გავლენის მოხდება შეუძლია ქვეყანაზე.

და ბოლოს, ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოს ზეგავლენის ქვეშ არ ხვდება და ინვესტორის გადაწყვეტილებაზე ახდენენ გავლენას, არის ქვეყნის გლობალური

ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. საერთაშორისო შეთანხმებებში მონაწილეობა ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯს და აუმჯობესებს გარემოს საწარმოს ფუნქციონირებისათვის, რაც საბოლოოდ ზრდის ინვესტიციების ნაკადებს ქვეყნის შიგნით.

ფაქტორები კი რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილობრივ ფირმებზე, ბოლო ეტაპია სახელმწიფოს მიერ კონტროლის ღონისძიებები ადგილობრივ და ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის ინტერვენციასთან დაკავშირებით. ადგილობრივი ფირმებისთვის კი მთავარი ისაა, რომ უცხოურ ინვესტიციებს მოაქვთ სარგებელი. აღნიშნული კი აიხსნება იმით, რომ ქვეყნის განვითარებაზე ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ და უცხოურ ფირმას შორის არ შედგება კავშირი, სარგებელს მხოლოდ უცხოური ინვესტიციის განმახორციელებელი კომპანია ნახავს და არ აისახება ქვეყნის განვითარებაზე.[8]

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივ და უცხოურ ფირმას შორის ურთიერთობის დამყარება ინდუსტრიული პოლიტიკის ფარგლებში. ერთს მხრივ ეს ადგილობრივ ფირმას დაეხმარება,რომ აიმაღლებს განვითარების დონეს და მიიღებს მეტ ინფორმაციას, ხოლო უცხოური ფირმისთვის კი უკეთესი იქნება, რადგან განავითარებს საწარმოო ხაზს, აითვისებს ბაზარს და კარგ ურთიერთბას დაამყარებს ადგილობრივ ფირმებთან.

სახელმწიფომ კი მაკროეკონომიკური და  ზოგადი პოლიტიკის ფარგლებში სამუშაო ძალის განვითარების დონე უნდა აამაღლოს, რომელიც მნიშვნელოვან როლს არა მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ითამაშებს, არამედ ადგილობრივი და უცხოური ფირმების ურთიერთობაში.

[8] transnacionalizacia – msoflios ekonomikuri ganviTarebis mamoZravebeli Zala, Jurnali saqarTvelos ekonomika, #4, 2009w.

# თავი 3. საქართველოს საინვესტიციო გარემო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და საერთაშორისო რეიტინგი

## 3.1. საინვესტიციო გარემო საქართველოში

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენენ გავლენას. ამ ფაქტორების ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ქვეყნის პოლიტიკური სტაბულურობა, საინვესტიციო და სახადასახადო პოლიტიკა, ქევყანაში კრიმინო-გენული სიტუაცია და კორუფციის დონე, საკანონმდებლო ბაზა და თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება, ბიზნესის კეთების სიმარტივე და სხვა. აღნიშნული ფაქტორების პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პოლიტიკური მაჩვენებლების მდგომარეობას, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, შიდა დანაზოგის მაჩვენებელი, დასაქმების მაჩვენეელი, საგადასახდელო ბალანსი და სხვა.

თითოეული ჩამოთვლილთაგანი სხვა, ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად ქმნის იმ გარემოს ქვეყანაში, რომელშიც ფუნქციონირებაც უწევს როგორც მოქმედ ადგილობრივ ბიზნესს, ისე იმ რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებსაც, რომლებიც გადააწყვეტენს საკუთარი კაპიტალის დაბანდებას ამ ქვეყანაში.

საქართველოში დღეს ბევრს ლაპარაკობენ ინვესტირებისათვის ხელსაყრელ გარემოზე. ხაზს უსვამენ ბიზნესის დაწყებისათვის ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს, რაც ძირითადად კონპანიის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის და საბანკო ანგარიშის გახსნის პროცედურების სიმარტივეში, აგრეთვე ხანგრძლივობაში (მოკლე ვადებში) გამოიხატება. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმართვის სიმარტივის რეიტინგში საქართველომ 2012 წლის მონაცემების მიხედვით 2005 წელს დაკავებული 120-ე ადგილიდან მე-12 ადგილზე გადაინაცვლა, ეს მაჩვენებელი მცირედით გაუარესდა 2014 წელს, რაც მე-15 ადგილით გამოიხატა. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2013 წელს 16 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, მაშინ როცა 2004 წელს ეს მაჩვენებელი 5 მლრდ აშშ დოლარი იყო. გაიზარდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ინვესტორებმა შეამჩნიეს ქვეყნის მზარდი საბაზრო შესაძლებლობები. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ 2008 წელს რეკორდულ 2015 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, თუმცა ეს პროცესი საქართველოში 2008 წელს განვითარებული საომარი მოქმედებებისა და მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის გამო დამუხრუჭდა[9].

დღეს საგადასახადო და საინვეტსტიციო კანონმდებლობაც წინა წლებთან შედარებით უფრო ლიბერალურია. 2018 წელს საგადასახადო ტვირთი საქართველოში დაახლოებით 15% იყო, რაც არ არის მაღალი მაჩვენებლი და ის ბიზნესისთვის ბევრად მიმზიდველია.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსი, შიდა ინვესტიციების მოცულობის მაჩვენებლი მაინც ძალიან დაბალია და ქვეყანა მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზე მიჯაჭვული რჩება.

სწორედ შიდა საინვესტიციო რესურსების სიმწირის გამომწვევ ზოგიერთ მნიშვნელოვან მიზეზზე მსურს გავამახვილო ყურადღება

საქართველოსთვის მიზანშეწონილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან

[9] saqarTvelos statistikis erovnuli samsaxuris monacemebi

წარმოებაზე იქნება ორიენტირებული და შესაძლებელი იქნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას.

საკმაოდ მაღალია; იგი GDP-ს დაახლოებით 57%-ს შეადგენს. მსოფლიო განვითარების ინდექსის მონაცემებით (WDI) მონაცემებით, 1990 წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოში საპროცენტო განაკვეთები კრედიტორებზე კვლავ მაღალი რჩება მაშინ, როდესაც დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთები ბოლო პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. კრედიტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ბიზნესის დასაწყებად, ისე მისი გაფართოებისათვის; დეპოზიტებზე თანხის განთავსება არის მოსახლეობისათვის დანაზოგების ინვესტირების პრაქტიკულად ერთადერთ გზა, რადგან ქვეყანაში ფაქტიურად არ არსებობს საფონდო ბირჟა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი რესურსების მობილიზებას და საჭიროებისამებრ გადანაწილებას. დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის სიმცირის გამო მოსახლეობას ურჩევნია მთლიანად მოიხმაროს შემოსავლები, ვიდრე დეპოზიტებში მოახდინოს ინვესტირება.

აღნიშნულმა პრობლემამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“-შიც ჰპოვა ასახვა. სტრატეგიით ქვეყნის ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთ წინაპირობად სწორედ ადგილობრივი დანაზოგების ზრდა განიხილება. საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით 2020 წლისათვის შიდა დანაზოგების პროცენტული მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან საბაზისო 2.5-დან 17%-მდე უნდა გაიზარდოს.

სტრატეგიის თანახმად, გრძელვადიანი საინვსტიციო რესურსის წახალისება იგეგმება გრძელვადიანი დანაზოგების ინსტრუმენტების ჩამოყალიბების ხელშეწყობით, რასაც დიდად დაეხმარება დაგეგმილი საპენსიო რეფორმაც, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას. იგი ხელს შეუწყობს

გრძელვადიანი საპენსიო მოცულობის ზრდას ქვეყანაში, შექმნის დამატებით წყაროს გრძელვადიანი ინვესტირებისთვის.

სტრატეგიაში საუბარია კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობაზეც საინვესტიციო რესურსების ზრდაში, აგრეთვე საინვესტიციო კანონმდებლობის გადახედვის აუცილებლობაზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას.

ქვეყანაში შიდა საინვესტიციო რესურსების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის მოიაზრება აგრეთვე უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი გადაულახავ ბარიერად რჩება სიღარიბის პრობლემის დაძლევის გზაზე. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უმუშევრობის დონე ერთ-ერთი მაღალია.[10]

**ცხრილი N2[11]**

**მსოფლიო ეკონომიკური პერსპექტივა**

| ქვეყნები | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთ | 9.6 | 8.2 | 7.5 | 7.0 | 6.3 | 6.8 | 7.0 | 7.0 |
| აზერბაიჯანი | 8.4 | 7.6 | 6.8 | 6.5 | 6.1 | 6.0 | 6.0 | 6.0 |
| ბელორუსი | 1.9 | 1.5 | 1.2 | 1.0 | 0.8 | 0.9 | 0.7 | 0.7 |
| საქართველო | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 | 16.2 |
| ყაზახეთი | 8.4 | 8.1 | 7.8 | 7.3 | 6.6 | 6.6 | 5.8 | 5.7 |
| ყირგიზეთი | 8.5 | 8.1 | 8.3 | 8.2 | 8.2 | 8.4 | 9.3 | 8.4 |

[10] International Monetary Fund, World Economic Outlook Database,

[11] International Monetary Fund, World Economic Outlook Database, September 2011; http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2011/01/weodata/index.aspx

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 10.6 | 8.8 | 7.0 | 6.2 | 7.8 | 17.3 | 19.0 | 16.1 |
| ლიეტუვა | 11.4 | 8.3 | 5.6 | 4 | 5.8 | 13.7 | 17.8 | 15.5 |
| მოლდოვა | 8.1 | 7.3 | 7.4 | 5.1 | 4.0 | 6.4 | 7.4 | 7.3 |
| რუსეთ | 8.2 | 7.6 | 7.2 | 6.1 | 6.4 | 8.4 | 7.5 | 7.3 |
| უკრაინა | 8.6 | 7.2 | 6.8 | 6.4 | 6.4 | 8.8 | 8.1 | 7.8 |
| უზბეკეთი | 0.4 | 0.3 | 0.2 | 0.2 | 0.1 | 0.2 | 0.2 | 0.2 |

-საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;

- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის მოუწესრიგებლობა;

- ანტიმონოპოლიური სტრუქტურის არარსებობა;

-პრობლემაა აგრეთვე საგადასახადო სისტემის ხშირი ცვლილება, რაც ინვესტორს გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებას არ აძლევს.

ამრიგად, თუ გვინდა, რომ მომდევნო ათწლეულში მაღალ ეკონომიკურ ზრდას ჰქონდეს ადგილი, უცხოური კაპიტალის მოზიდვის პარალელურად, მასზე დამოკიდებულება უნდა შევამციროთ შიდა საინვესტიციო პოტენციალის განვითარების გზით. ამის ერთ-ერთი გზა კი დანაზოგების ზრდის სტიმულირებაცაა.

**ცხრილი N3**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, წლებისა და სექტორების მიხედვით[12]

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

მლნ. აშშ დოლარი

| წელი | სულ | I კვ | II კვ | III კვ | IV კვ |
|---|---|---|---|---|---|
| 2005 | **452.8** | 88.6 | 104.8 | 79.6 | 179.7 |
| 2006 | **1 171.2** | 145.2 | 318.0 | 332.4 | 375.5 |
| 2007 | **1 752.6** | 330.8 | 366.5 | 468.9 | 586.4 |
| 2008 | **1 569.7** | 539.5 | 605.4 | 134.9 | 290.0 |
| 2009 | **664.2** | 113.3 | 177.1 | 179.0 | 194.8 |
| 2010 | **845.1** | 176.1 | 211.4 | 236.4 | 221.2 |
| 2011 | **1 130.3** | 222.5 | 270.9 | 306.8 | 329.9 |
| 2012 | **1 022.9** | 295.5 | 246.8 | 219.5 | 261.2 |
| 2013 | **1 020.6** | 290.4 | 216.4 | 265.8 | 248.0 |
| 2014 | **1 818.0** | 326.7 | 209.7 | 740.6 | 541.0 |
| 2015 | **1 652.5** | 335.0 | 483.0 | 504.1 | 330.5 |
| 2016 | **1 602.9** | 408.0 | 414.6 | 517.1 | 263.1 |
| 2017* | **1 861.9** | 416.4 | 347.7 | 600.4 | 497.4 |

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017* წელს (%)**




**ცხრილი N4**

საწარმოო საქმიანობათა კვლევა

| წლები | სულ | საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა | პრივატიზაცია | საფინანსო სექტორი |
|---|---|---|---|---|
| 2007 | 1,752,645.8 | 1,267,545.9 | 347,351.5 | 137,748.3 |
| 2008 | 1,569,723.3 | 1,282,088.4 | 279,047.6 | 8,587.3 |
| 2009 | 664,190.7 | 517,222.8 | 97,304.5 | 49,663.4 |
| 2010 | 845,114.2 | 677,996.2 | 49,420.7 | 117,697.3 |
| 2011 | 1,130,262.5 | 866,316.6 | 61,811.9 | 202,134.0 |
| 2012 | 1,022,927.8 | 841,311.3 | 5,370.2 | 176,246.3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 1,020,634.4 | 765,913.5 | 2,805.0 | 251,915.9 |
| 2014 | 1,817,981.2 | 1,700,351.8 | 3,554.9 | 114,074.6 |
| 2015 | 1,652,507.5 | 1,510,630.5 | 6,472.5 | 135,404.5 |
| 2016 | 1,602,850.6 | 1,479,270.5 | 2,143.1 | 121,436.9 |
| 2017 | 1,861,901.3 | 1,533,787.3 | 1,631.6 | 326,482.5 |

დასკვნის სახით კი შეგვიძლია ანალიზი გავუკეთოთ აღნიშნულ მონაცემებს, პირველ რიგში, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2005-დან 2017 წლის ჩათვლით 4 ჯერ მოიმატა, ამასთანავე ყურადღება მიექცა ძირითად კომუნიკაციებს, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანას უადვილდება სხვადასხვა სახის პროექტების შესრულება და ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია მათი წესრიგში ყოფნა. რაც შეეხება საწარმოთა პრივატიზაციას 2017 წლის მონაცემებით 2005 თან შედარებით მაქსიმალურად შემცირდა პრივატიზაცია.

## 3.2. შედარებითი ანალიზი საქართველო და ბალტიისპირეთის ქვყენები, ინვესტიციების ეფექტიანობის შედარების ფონზე

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოსთან შედარებით, განსხვავებული მდგომარეობაა, ბალტიისპირეთად წოდებულ ქვეყნებში, ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში. „ბალტიისპირეთი" ბალტიის ქვეყნების საბჭოურ ოკუპაციასთან კავშირის გამო არ იყენებენ. არსებობს მხოლოდ სიტყვა Baltimaad (ბალტიმადი), რაც ბალტიის ქვეყნებს ნიშნავს. ლიტვურად და ლატვიურად რეგიონის შესატყვისად სიტყვა Baltija („ბალტიია") გამოიყენება.

ამ სამეულიდან, რომელიც World Economic Forum-ის მიერ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსებითაა შეფასებული, ბოლოო ადგილზეა ლატვია, რომელსაც 54-ე ადგილი უკავია 137 ქვეყნიდან, რაც არც თუ ისე შორსაა საქართველოსგან. პირველ ხუთეულში ამ ქვეყანაში არსებული პრობლემები ბიზნესის კეთების მხრივ ასე გამოიყურება: არაეფექტური ხელისუფლების ბიუროკრატია, საგადასახადო განაკვეთები, საგადასახადო რეგულაციები, კორუფცია და არასრულფასოვნად განათლებული სამუშაო ძალა. აღნიშნული კომპონენტები საქართველოში ბევრად ნაკლებ პრობლემად ითვლება.




გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი კი 2017-2018 წლებში ასე გამოიყურებოდა

| | | |
|---|---|---|
| **Global Competitiveness Index** | 54 | 4.4 |
| Subindex A: Basic requirements | 43 | 5.0 |
| 1st pillar: Institutions | 82 | 3.8 |
| 2nd pillar: Infrastructure | 55 | 4.4 |
| 3rd pillar: Macroeconomic environment | 23 | 5.8 |
| 4th pillar: Health and primary education | 45 | 6.1 |
| Subindex B: Efficiency enhancers | 49 | 4.4 |
| 5th pillar: Higher education and training | 42 | 5.0 |
| 6th pillar: Goods market efficiency | 59 | 4.4 |
| 7th pillar: Labor market efficiency | 43 | 4.5 |
| 8th pillar: Financial market development | 64 | 4.1 |
| 9th pillar: Technological readiness | 37 | 5.3 |
| 10th pillar: Market size | 92 | 3.2 |
| Subindex C: Innovation and sophistication factors | 68 | 3.6 |
| 11th pillar: Business sophistication | 62 | 4.1 |
| 12th pillar: Innovation | 83 | 3.2 |

ცვლილებები 2012-დან 2018 წლამდე ასე გამოიყურებოდა

| | | 2012-13 | 2013-14 | 2014-15 | 2015-16 | 2016-17 | 2017-18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | Edition | 2012-13 | 2013-14 | 2014-15 | 2015-16 | 2016-17 | 2017-18 |
| პოზიცია | Rank | 55 / 144 | 52 / 148 | 42 / 144 | 44 / 140 | 49 / 138 | 54 / 137 |
| ქულა | Score | 4.3 | 4.4 | 4.5 | 4.5 | 4.4 | 4.4 |

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ლიეტუვაში, რომელიც 41-ე ადგილზეა 137 ქვეყნიდან. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო განაკვეთები, არაეფექტური ხელისუფლების ბიუროკრატია და არასრულფასოვნად განათლებული სამუშაო ძალა ხუთეულიდან ემთხვევა ლატვიის მდგომარეობას, მაინც ახერხებს, რომ შეინარჩუნოს მასზე უკეთესი პოზიცია. ეს იმის ხარჯზე ხდება, რომ მხოლოდ მე-3 და მე-7 კომპონენტებში, რომელიც მოიაზრებს მაკროეკონომიკურ გარემოსა და შრომის ბაზრის ეფექტურობას, ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა ლატვიაში. დანარჩენში კი ლიეტუვა ბევრად კარგად ართმევს თავს პრობლემებს.




მისი მდგომარეობა კი ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| **Global Competitiveness Index** | 41 | 4.6 |
| Subindex A: Basic requirements | 34 | 5.1 |
| **1st pillar: Institutions** | 53 | 4.1 |
| **2nd pillar: Infrastructure** | 47 | 4.7 |
| **3rd pillar: Macroeconomic environment** | 29 | 5.6 |
| **4th pillar: Health and primary education** | 42 | 6.2 |
| Subindex B: Efficiency enhancers | 40 | 4.6 |
| **5th pillar: Higher education and training** | 29 | 5.2 |
| **6th pillar: Goods market efficiency** | 44 | 4.6 |
| **7th pillar: Labor market efficiency** | 61 | 4.3 |
| **8th pillar: Financial market development** | 59 | 4.1 |
| **9th pillar: Technological readiness** | 30 | 5.6 |
| **10th pillar: Market size** | 78 | 3.6 |
| Subindex C: Innovation and sophistication factors | 44 | 4.0 |
| **11th pillar: Business sophistication** | 46 | 4.4 |
| **12th pillar: Innovation** | 41 | 3.7 |

ხოლო ცვლილებები 2012-დან 2018 წლამდე კი ასეთია:

| წლები | 2012-13 | 2013-14 | 2014-15 | 2015-16 | 2016-17 | 2017-18 |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოზიცია | 45 / 144 | 48 / 148 | 41 / 144 | 36 / 140 | 35 / 138 | 41 / 137 |
| ქულა | 4.4 | 4.4 | 4.5 | 4.5 | 4.6 | 4.6 |

ბალტიისპირეთის ლიდერად კი შეიძლება ჩაითვალოს ესტონეთი, რომელიც დღეის მდგომარეობით 29-ე ადგილზეა 137 ქვეყნიდან. ამ ქვეყანაში არც ისე სახარბიელო სიტუაციაა, რადგან საგადასახადო განაკვეთები პირველ ადგილზეა ბიზნესის კეთების დროს პრობლემურ საკითხებში; მეორე ადგილს კი არასრულფასოვნად განათლებული სამუშაო ძალა იკავებს, შემდეგ ადგილებს კი ინაწილებს მთავრობის არასტაბილურობა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ბიზნესმენებისათვის ინვესტიციის განხორციელებისა; მეოთხე ადგილზე გვევლინება ინოვაციების არასაკმარისი მოცულობა და ბოლოო მეხუთე ადგილს კი სამუშაო ეთიკა იკავებს. თუ დავაკვირდებით, ესტონეთში ბევრად უფრო დიდი პრობლემებია ბიზნესის კეთების მხრივ და მაინც ის მოწინავე პოზიციაზეა ამ ქვეყნებთან შედარებით.




რაც შეეხება ესტონეთის მდგომარეობას, ცხრილიდანაც ჩანს, რომ ის ყველგან მოწინავე პოზიციას იკავებს, გარდა მეათე ინდიკატორისა, სადაც ის 78 ადგილზეა 137 ქვეყნიდან, შკალა კი 3.6-ია 7-დან.

| | | |
|---|---|---|
| **Global Competitiveness Index** | 41 | 4.6 |
| Subindex A: Basic requirements | 34 | 5.1 |
| 1st pillar: Institutions | 53 | 4.1 |
| 2nd pillar: Infrastructure | 47 | 4.7 |
| 3rd pillar: Macroeconomic environment | 29 | 5.6 |
| 4th pillar: Health and primary education | 42 | 6.2 |
| Subindex B: Efficiency enhancers | 40 | 4.6 |
| 5th pillar: Higher education and training | 29 | 5.2 |
| 6th pillar: Goods market efficiency | 44 | 4.6 |
| 7th pillar: Labor market efficiency | 61 | 4.3 |
| 8th pillar: Financial market development | 59 | 4.1 |
| 9th pillar: Technological readiness | 30 | 5.6 |
| 10th pillar: Market size | 78 | 3.6 |
| Subindex C: Innovation and sophistication factors | 44 | 4.0 |
| 11th pillar: Business sophistication | 46 | 4.4 |
| 12th pillar: Innovation | 41 | 3.7 |

ცვლილებები კი 2012-დან 2018 წლამდე ასეთია:

| წლები | 2012-13 | 2013-14 | 2014-15 | 2015-16 | 2016-17 | 2017-18 |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოზიცია | 45 / 144 | 48 / 148 | 41 / 144 | 36 / 140 | 35 / 138 | 41 / 137 |
| ქულა | 4.4 | 4.4 | 4.5 | 4.5 | 4.6 | 4.6 |

დასკვნის სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ ესტონეთის პირველობას განსაზღვრავს მისი ადგილის ცვლილება მხოლოდ ბაზრის სიდიდეში; ლატვია კი ლიტვას მხოლოდ მაკროეკონომიკურ გარემოსა და შრომის ბაზრის ეფექტურობაში. დანართი 2-ში კარგადაა აღწერილი ის განსხვავებანი, რომელიც ამ 4 ქვეყანას განასხვავებს ერთმანეთისგან.

ეფექტიანობა ეწოდება უმცირესი დანახარჯებით საუკეთესო ეფექტიანობის მიღწევის დონეს. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა განიხილება როგორც კატეგორია, რომელიც ასახავს საინვესტიციო პორექტის მონაწილეთა შესაბამისობას მათ

მიზნებსა და ინტერესებთან. პროექტის სხვადასხვა მონაწილეთათვის ეფექტიანობა შეიძლება განსხვავებული იყოს. შესაძლებელია ფინანსურად წარმატებული პროექტი სრულიად არაეფექტიანი იყოს მასში მონაწილეთათვის. პროექტში რომელიმე მონაწილის საკუთარი კაპიტალის მონაწილეობის ეფექტიანობა განისაზღვრება პროექტში ჩადებული მისი კაპიტალის შეფარდება იმ კაპიტალზე, რომელიც სახეზეა პროექტის რეალიზაციის ხარჯზე და დარჩება საკუთარი დანახარჯების კომპენსაციის, კრედიტორებთან და სახელმწიფოსთან ანგარიშსწორების შემდეგ და სხვა. პროექტში ჩადებული მონაწილის საკუთრების მოცულობა განისაზღვრება როგორც მისმიერ პროექტში ჩადებული ყველა სახსრისა და ამ მიზნისათვის მოზიდული ყველა სახსრის სხვაობა.

# დასკვნა

დღეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობა ძალზედ აქტუალურია ქვეყნებისათვის. პირველ რიგში ის განსაზღვრავს ქვეყნის ადგილს მსოფლიო ბაზარზე. კონკურენტუნარიანობის ანალიზს მსოფლიოში ძირითადად ორი უმსხვილესი ორგანიზაცია ატარებს და ესენი არიან: მართვის საერთაშორისო ინტიტუტი (IMD) და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF). ამ ინდიკატორების მეშვეობით ყალიბდება ის სია, რომელიც მსოფლიოში ქვეყნებს ანიჭებს კონკურენტუნარიანობის სტატუსს. ჩვენ მიერ განხილული კონკურენტუნარიანობა გლობალურ და ადგილობრივ დონეზე ნათლად ასახავს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

საგულისხმოა ის ფაქტორიც, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი თორმეტივე ფაქტორის დონის/მაჩვენებლის ამაღლებასა და გაუმჯობესებაში განსაკუთრებული როლი აქვს ინვესტირებას შესაბამის სფეროებსა და დარგებში. ინვესტიციები, ერთის მხრივ, ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მისი განმსაზღვრელი ფაქტორების გაუმჯობესების გზით, მეორეს მხრივ კი გაზრდილი კონკურენტუნარიანობა ზრდის ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. გამომდინარე აქედან, აუცილებელი და საჭიროა, რომ ქვეყნის პოლიტიკა მიმართული იყოს ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე, რადგან ქვეყანაში შემოსული ნაკადები აუცილებლობას წარმოადგენს, როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყნის გლობალური პოტენციალისთვის.

რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარს ჩვენს ქვეყანაში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონკურენტუნარიანობის ინდექსით ჩამოვრჩებით ბალტიისპირეთის ქვეყნებს და დასახვეწია ადგილობრივი პოლიტიკა, ინვეტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ჩამოსაყალიბებელია საგადასახადო ცვლილებები გრძელვადიანი პერსპექტივით,

კონკრეტულად კი მოგებისა და სხვა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ინვესტორს აძლევს საშუალებას უფრო თამამად განათავსოს ინვესტიცია ქვეყანაში ამასთანავე, საგულისხმოა საკუთრების უფლებასთან არსებული პრობლემები და რაც მთავარია საჭიროა ანტიმონოპოლიური სტრუქტურა, რომელიც ქვეყნის პოტენციალს ერთიორად გაზრდის, რადგან ინვესტორისთვის ღია ბაზარი ყოველთვის სასურველი იქნება.

ჩემი რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხებში კი იქნება, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განვითარებაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აქციონერთა ინტერესების დაცვას, რადგან ქვეყანაში თითქმის არ არსებობს საფონდო ბირჟა და აქციონერთა უფლებები არაა საკმარისად დაცული. ამასთანავე სავალალო მდგომარეობაა დაწყებითი განათლების ხარისხში, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსოფლიო დონის ქვეყნების სტანდარტების გათვალისწინებით. ცუდი სიტუაციაა სპეციალიზებული სასწავლო მომსახურების ადგილობრივი ხელმისაწვდომობაში, სადაც საქართველო მსოფლიო დონით 131-ე ადგილზე იმყოფება.

განვითარებადმა ქვეყნებმაც სხვადასხვა შედეგი აჩვენეს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. იმისათვის, რომ სახელმწიფო სტრატეგია სწორად განხორციელდეს, საჭიროა დიდი ძალისხმევა. პირველ რიგში საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ხელსაყრელი ინფრასტრუქტურული გარემო ინვესტორთათვის, რაც დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან. ამასთანავე სახელმწიფო ვალდებულია ინვესტორთან არ განიცადოს ე.წ „ინფორმაციული მარცხი“, რაც ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ინვესტორისთვის ადგილობრივი ბაზარი ნაკლებად ცნობილი იყოს, ანუ მასზე ჰქონდეს ან ცოტა ინფორმაცია, ან არ ჰქონდეს გამოცდილება ამ ბაზარზე მუშაობისა.

ადგილობრივი სახელმწიფოს მიერ განსხვავებულია ასევე ინვესტორების საქმიანობაში ჩარევის დონეებიც, ისინი შეიძლება ოთხად დავყოთ. პირველ დონეს მიეკუთვნება პასიური ღია კარის პოლიტიკა - ამ დროს სახხელმწიფოს არ აქვს რაიმე პოლიტიკური სახის ინტერესი ინვესტიციის მიმართ. მეორე დონეზე სახელმწიფოს კი აქვს ღია კარის პოლიტიკა და ამასთანავე ის ცდილობს ხელი შეუწყოს ინვესტიციების

შემოდინებას, თუნდაც მიწოდების პოლიტიკის გაუმჯობესებით. შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო მიმართავს კონკრეტული ინვესტიციების მოზიდვას და ტრანსნაციონალური კომპანიების მკაცრ კონტროლს. ბოლო ეტაპზე კი ქვეყნები იმ ინვესტორისადმი მიმართავენ შემზღუდავ პოლიტიკას, რომელთაც შესაძლოა ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ.

ინოვაციების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი პრობლემები არის ჩვენს ქვეყანაში, რადგან ინდიკატორების გათვალისწინებით, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა შემდეგ საკითხებში: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, ხარჯების სიმცირე, რომელსაც კომპანია ხარჯავს კვლევასა და განვითარებაში, უნივერსიტეტთან თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში, მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა კვლევა და განვითარება, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა კატეგორიის მეცნიერები საკუთარი პოტენციალის გამოსავლენად ტოვებენ ჩვენს ქვეყანას, რადგან მათ არ აქვთ შესაბამისი დონის ინფრასტრუქტურა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოსთან შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა ბალტიისპირეთად წოდებულ ქვეყნებში: ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. „ბალტიისპირეთი" ბალტიის ქვეყნების საბჭოურ ოკუპაციასთან კავშირის გამო არ იყენებენ. არსებობს მხოლოდ სიტყვა Baltimaad (ბალტიმადი), რაც ბალტიის ქვეყნებს ნიშნავს. ლიტვურად და ლატვიურად რეგიონის შესატყვისად სიტყვა Baltija („ბალტიია“) გამოიყენება.

ამ სამეულიდან, რომელიც World Economic Forum-ის მიერ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსებითაა შეფასებული, ბოლო ადგილზეა ლატვია, რომელსაც 54-ე ადგილი უკავია 137 ქვეყნიდან, რაც არც თუ ისე შორსაა საქართველოსგან. პირველ ხუთეულში ამ ქვეყანაში არსებული პრობლემები ბიზნესის კეთების მხრივ ასე გამოიყურება: არაეფექტური ხელისუფლების ბიუროკრატია, საგადასახადო განაკვეთები, საგადასახადო რეგულაციები, კორუფცია და

არასრულფასოვნად განათლებული სამუშაო ძალა. აღნიშნული კომპონენტები საქართველოში ბევრად ნაკლებ პრობლემად ითვლება.

## გამოყენებული ლიტერატურis ბიბლიოგრაფიული ნუსხა:


1. ა.ოქროცვარიძე, თ. ლაჭყეპიანი, ლ,ოქროცვარიძე, მსოფლიო ეკონომიკა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2010
2. ა.ჩუთლაშვილი, გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის სამეცნიერო შრომების კრებული, თბ. 2009.
3. თეა კასრაძე, განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული ძირითადი პოლიტიკები, ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“, №6
4. თეა კასრაძე, საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, №5 გვ.33-42
5. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები www.nplg.gov.ge
6. saqarTvelos socialur-ekonomikuri strategia “saqarTvelo 2020” (proeqti) http://www.mof.ge/ViewFile.aspx?Id=64
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 წ.
8. თეა კასრაძე, ტრანსნაციონალიზაცია - მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა, ჟურნალი საქართველოს ეკონომიკა №4, თბ.2009

9. Dirk Willem te Velde, Government Policies towards Inward Foreign Direct Investment in Developing Countries: Implications for human capital formation and income inequality, Overseas Development Institute 2001
10. World Economic Forum, 2018 year, http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/countryeconomy-profiles/#economy=GEO
11. The Global Competitiveness Report 2017-2018, World Economic Forum
12. https://en.wikipedia.org/wiki/Global_Competitiveness_Report#2017–2018_rankings
13. http://www3.weforum.org/docs/GCR2017-2018/03CountryProfiles/Standalone2-pagerprofiles/WEF_GCI_2017_2018_Profile_Georgia.pdf
14. http://procurement.gov.ge/files/_data/geo/samartleblivi_aqtebi/saqartvelos_kanoni_saxelmwifo_shesyidveb is_shesaxeb.pdf

## დანართი 1

## გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2017-2018 (საქართველო)

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება | რეიტინგი (max7) |
|---|---|---|---|
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი | 67 | 4.3 | 4.3/7 |
| ქვეინდექსიA: ძირითადი მოთხოვნები | 54 | 4.8 | 4.8/7 |
| ინსტიტუტები | 50 | 4.2 | 4.2/7 |
| ინფრასტრუქტურა | 69 | 4.2 | 4.2/7 |
| მაკროეკონომიკური გარემო | 48 | 5.1 | 5.1/7 |
| ჯანმრთელობისა და დაწყებითი განათლება | 69 | 5.8 | 5.8/7 |
| ქვეინდექსი B: ეფექტურობის გამაძლიერებლები | 75 | 4.1 | 4.1/7 |
| უმაღლესი განათლება და სწავლება | 87 | 4 | 4.0/7 |
| საქონლის ბაზრის ეფექტურობა | 50 | 4.5 | 4.5/7 |
| შრომის ბაზრის ეფექტურობა | 53 | 4.4 | 4.4/7 |
| ფინანსური ბაზრის განვითარება | 63 | 4.1 | 4.1/7 |
| ტექნოლოგიური მზადყოფნა | 70 | 4.3 | 4.3/7 |
| ბაზრის ზომა | 100 | 3.1 | 3.1/7 |
| ქვეინდექსი C ინოვაცია და დახვეწილობის ფაქტორები | 112 | 3.2 | 3.2/7 |
| ბიზნეს დახვეწილობის ინდექსი | 99 | 3.7 | 3.7/7 |
| ინოვაცია | 118 | 2.8 | 2.8/7 |

### ინსტიტუტები

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ინსტიტუტები | 50 | 4.2 |
| საკუთრების უფლება | 46 | 4.7 |
| ინტელექტუალური საკუთრების დაცვა | 95 | 3.7 |
| საჯარო ფინანსების დერივაცია | 51 | 4 |
| პოლიტიკოსებისადმი საზოგადოებრივი ნდობა | 73 | 2.9 |
| არარეგულარული გადასახადები და ქრთამები | 30 | 5.4 |
| სასამართლო დამოუკიდებლობა | 87 | 3.6 |
| ფავორიტიზმი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებებში | 57 | 3.3 |
| მთავრობის ხარჯების ეფექტურობა | 79 | 3 |
| მთავრობის რეგულირების ტვირთი | 9 | 4.7 |
| დავების მოგვარების სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტურობა | 79 | 3.5 |
| საკანონმდებლო ბაზის ეფექტურობა სადავო რეგულაციებში | 67 | 3.4 |
| მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობა | 46 | 4.5 |
| ტერორიზმის ბიზნეს ხარჯები | 54 | 5.3 |
| დანაშაულისა და ძალადობის ბიზნეს ხარჯები | 30 | 5.2 |
| ორგანიზებული დანაშაული | 38 | 5.4 |
| პოლიციის მომსახურების საიმედოობა | 42 | 5.2 |
| ფირმების ეთიკური ქცევა | 66 | 3.9 |
| აუდიტორული და საანგარიშო სტანდარტების სიძლიერე | 78 | 4.5 |
| კორპორატიული დაფების ეფექტურობა | 92 | 4.6 |




მაკროეკონომიკური გარემო
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
-10
მაკროეკონომიკური...
მთავრობის ბიუჯეტის...
მთლიანი ეროვნული...
ინფლაციის წლიური...
მთავრობის დავალიანება...
ქვეყნის საკრედიტო...
რეიტინგი
ღირებულება


ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება
120
100
80
60
40
20
0
ჯანმრთელობა და...
მალარიის...
ბიზნესის გავლენა...
ტუბერკულოზის...
ბიზნესის გავლენა...
აივ ინფექციის...
ბიზნესის გავლენა აივ...
ჩვილ ბავშვთა...
სიცოცხლის...
დაწყებითი განათლების...
დაწყებითი განათლების...
რეიტინგი
ღირებულება




## საქონლის ბაზრის ეფექტურობა

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| საქონლის ბაზრის ეფექტურობა | 50 | 0.5 |
| ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა | 94 | 4.8 |
| ბაზრის დომინირების მოცულობა | 67 | 3 |
| ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა | 112 | 3.2 |
| დაბეგვრას ეფექტიანობის წახალისებაზე | 14 | 49 |
| მთლიანი საგადასახადო განაკვეთი მოგება | 8 | 16.4 |
| ბიზნესის დაწყების პროცედურების რაოდენობა | 7 | 3 |
| ბიზნესის დაწყების დრო დღის განმავლობაში | 6 | 3 |
| სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ხარჯები | 104 | 3.3 |
| არასატარიფო ბარიერების გავრცელება | 25 | 4.9 |
| სავაჭრო ტარიფები მოვალეობა | 4 | 0.9 |
| უცხოური საკუთრების გავრცელება | 70 | 4.5 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წესების ბიზნესის გავლე | 29 | 5.2 |
| საბაჟო პროცედურების ტვირთი | 14 | 5.4 |
| იმპორტი მთლიანი შიდა პროდუქტი | 29 | 62.7 |
| კლიენტის ორიენტაციის ხარისხი | 111 | 4 |
| მყიდველის დახვეწა | 85 | 3.2 |

## შრომის ბაზრის ეფექტურობა

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| შრომის ბაზრის ეფექტურობა | 53 | 4.4 |
| თანამშრომლობა შრომით-დამსაქმებელთა ურთიერთობებში | 87 | 4.2 |
| ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა | 35 | 5.4 |
| დაქირავება და გათავისუფლების პრაქტიკა | 28 | 4.4 |
| კვირის ხელფასის ხარჯების მეტობა | 20 | 8.6 |
| გადასახადების გავლენა სამუშაოების წახალისების შესახებ | 14 | 5 |
| გადახდა და პროდუქტიულობა | 95 | 3.6 |
| პროფესიული მენეჯმენტი | 70 | 42 |
| ქვეყნის უნარი, შეინარჩუნოს ნიჭი | 99 | 3 |
| ქვეყნის შესაძლებლობები ნიჭიერი მოზიდვა | 101 | 2.7 |
| ქალთ მონაწილეობის შრომით ძალაში | 84 | 0.76 |

## ფინანსური ბაზრის განვითარება

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ფინანსური ბაზრის განვითარება | 63 | 4.1 |
| ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა | 92 | 3.9 |
| ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა | 81 | 3.6 |
| ადგილობრივი სააქციო კაპიტალის მეშვეობით დაფინანსება | 131 | 2.4 |
| სესხების ხელმისაწვდომობის გაზრდა | 46 | 4.2 |
| სარისკო კაპიტალის ხელმისაწვდომობა | 80 | 2.7 |
| ბანკების სიმტკიცე | 64 | 5 |
| ფასიანი ქაღალდების გაცვლის რეგულირება | 102 | 3.8 |
| იურიდიული უფლებების ინდექსი | 12 | 9 |

## ტექნოლოგიური მზადყოფნა

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ტექნოლოგიური მზადყოფნა | 70 | 4.3 |
| უახლესი ტექნოლოგიების არსებობა | 111 | 4 |
| ფირმის დონის ტექნოლოგია შთანთქმის | 108 | 4 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიები | 94 | 4 |
| ინტერნეტის მომხმარებლები. | 84 | 50 |
| ფიქსირებული ინტერნეტი ინტერნეტით | 56 | 15.8 |
| ინტერნეტ სიჩქარის kb / s / მომხმარებელი | 46 | 92.1 |
| მობილური- მონაცემების გამოწერები | 72 | 57.7 |

## ბაზრის სიდიდე

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ბაზრის სიდიდე | 100 | 3.1 |
| შიდა ბაზრის ზომა ინდექსი | 99 | 2.9 |
| საგარეო ბაზრის ზომა ინდექსი | 99 | 3.8 |
| მთლიანი შიდა პროდუქტის შეძენა | 103 | 37.2 |
| ექსპორტი | 61 | 37.9 |

## ბიზნესის დახვეწილობა

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ბიზნესის დახვეწილობა | 99 | 3.7 |
| ადგილობრივი მიმწოდებლის რაოდენობა | 129 | 3 |
| ადგილობრივი მიმწოდებელი ხარისხი | 115 | 3.7 |
| კასეტური განვითარების მდგომარეობა | 127 | 2.9 |
| კონკურენტული უპირატესობის ბუნება | 57 | 3.8 |
| ღირებულების ჯაჭვის სიგანე | 75 | 3.8 |
| საერთაშორისო განაწილების კონტროლი | 86 | 3.4 |
| წარმოების პროცესის დახვეწა | 88 | 3.5 |
| მარკეტინგის მოცულობა | 85 | 4.2 |
| უფლებამოსილების დელეგირების სურვილი | 102 | 3.9 |

## ინოვაცია

| კომპონენტი | რეიტინგი | ღირებულება |
|---|---|---|
| ინოვაცია | 118 | 2.8 |
| ინოვაციის მოცულობა | 99 | 3.7 |
| სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი | 127 | 2.7 |
| კომპანია ხარჯავს კვლევასა და განვითარებას | 122 | 2.7 |
| უნივერსიტეტის ინდუსტრიის თანამშრომლობა კვლევისა და განვითარების სფეროში | 116 | 2.8 |
| მოწინავე ტექნოლოგიური პროდუქტების შესყიდვა | 78 | 3.2 |
| მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობა | 125 | 3 |
| PCT პატენტები | 70 | 1 |

## ცვლილებები 2012-დან 2018წლამდე

| წლები | 2012-13 | 2013-14 | 2014-15 | 2015-16 | 2016-17 | 2017-18 |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოზიცია | 77 / 144 | 72 / 148 | 69 / 144 | 66 / 140 | 59 / 138 | 67 / 137 |
| ქულა | 4.1 | 4.2 | 4.2 | 4.2 | 4.3 | 4.3 [13] |

**დანართი 2**

გრაფიკული შედარება საქართველო-ბალტიისპირეთს ქვეყნები

[13] http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/


ინსტიტუტები
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.1
3.8
5
4.2
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ინფრასტრუქტურა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.7
4.4
5.1
4.2
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


მაკროეკონომიკური გარემო
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
5.6
5.8
6.1
5.1
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
6.2
6.1
6.4
5.8
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


უმაღლესი განათლება და სწავლება
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
5.2
5
5.5
4
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


საქონლის ბაზარზე ეფექტურობა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.6
4.4
5.1
4.5
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


შრომის ბაზრის ეფექტურობა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.3
4.5
5
4.4
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ფინანსური ბაზრის განვითარება
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.1
4.1
4.9
4.1
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ტექნოლოგიური მზადყოფნა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
5.6
5.3
4.4
3.7
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ბაზრის ზომა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
3.6
3.2
3.1
3.1
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო


ბიზნესის დახვეწა
შენიშვნა: შეფასება მოცემულია 1-დან 7-მდე შკალაში
4.4
4.1
4.4
3.7
ლიეტუვა
ლატვია
ესტონეთი
საქართველო



14

14 წყარო World Economic Forum - http://reports.weforum.org/global-competitiveness-index-2017-2018/

# დანართი 3

გლობალური კონკურენციის ევოლუცია 2008-დან 2018 წლამდე




გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2009-2010
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
5.1
შვეიცარია
აშშ
სინგაპური
შვედეთი
დანია
ფინეთი
გერმანია
იაპონია
კანადა
ჰოლანდია


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2010-2011
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
5.1
შვეიცარია
შვედეთი
სინგაპური
აშშ
გერმანია
იაპონია
ფინეთი
ჰოლანდია
დანია
კანადა


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2011-2012
5.8
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
შვედეთი
ფინეთი
აშშ
გერმანია
ჰოლანდია
დანია
იაპონია
ინგლისი


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2012-2013
5.8
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
ფინეთი
შვედეთი
ჰოლანდია
გერმანია
აშშ
ინგლისი
ჰონგ-კონგი
იაპონია


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2013-2014
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
ფინეთი
გერმანია
აშშ
შვედეთი
ჰონგ-კონგი
ჰოლანდია
იაპონია
ინგლისი


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2014-2015
5.9
5.8
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
აშშ
ფინეთი
გერმანია
იაპონია
ჰონგ-კონგი
ჰოლანდია
ინგლისი
შვედეთი


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2015-2016
5.8
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
აშშ
გერმანია
ჰოლანდია
იაპონია
ჰონგ-კონგი
ფინეთი
შვედეთი
ინგლისი


გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016-2017
5.9
5.8
5.7
5.6
5.5
5.4
5.3
5.2
შვეიცარია
სინგაპური
აშშ
ჰოლანდია
გერმანია
შვედეთი
ინგლისი
იაპონია
ჰონგ-კონგი
ფინეთი




აღნიშნული დიაგრამები წარმოადგენენ გლობალური კონკურენციის ევოლუციას, თუ რამდენად კარგად ან ზოგი ქვეყნისთვის ცუდად, ვითარდებოდა ყოველივე ეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ უცვლელ ლიდერად გვევლინება შვეიცარია, რომელიც ყველაზე მაღალშეფასებას იღებს აი უკვე მე-9 წელია.